საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 28 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი [illegible] პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 245 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 245

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ანეტა დიმიტრის ასული, შვილები: ნადია, გაიანა, ნინა, თამარა, ალექსანდრე, აკაკი, გრიგოლი და ბიქტორი, და მატრონა ჩოჩიასი, ცოლის ძმები: ილიკო, სოლომონ, ბარნაბა ჯულუხიძეები, დისწულები: სერგი დანელია, ლიდა, ანნა, მარიამი, და სიმონი ჩოჩიები. აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

**დათა ბექანის ძე ქველაია**

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 28 ოქტომბერს დღით სამშაბათს 3 საათს. (ფ—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბაბო, დედ მამა ელენე და ყარამანი, ძმა ლადიკო მეუღლით, დები: ვერა, ანეტა, მარუსია, ნადია და თამუშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 ნოემბერს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება ქ. ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიის გამგის

**ილია უარამანის ძე ცეცხლაძის**

წირვა და პანაშვიდი, შემოქმედის მონასტერში. (ნ.—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: კატო წულუკიძისა, ვაჟი მისი ფრიდონი, ქალები: არიანა და მალო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 ნოემბერს (ახ. სტ.) იქნება გადახდილი საყვარელი სიძის

**ილია უარამანის ძე ცეცხლაძის**

წირვა და პანაშვიდი შემოქმედის მონასტერში. (ნ —1—1)

**მოქალაქენო!**

იჩქარეთ ლატარიის ბილეთების ყიდვა

1 მოგება — — 100.000 მან.
2 „ — — 50.000 მან. და სხ.

მომგებთა გასასტუმრებლად გადადებულია

**ნახევარი მილიონი მანეთი**

ბილეთი ღირს 25 მან. კუპონი 5 მან. ლატარიის გათამაშება მოხდება სახელმწიფო თეატრში **2 ნოემბერს**

ლატარიის კანტორა: დამფუძნებელ კრების ქ. (ყოფილი სასახლის ქ) № 5, ტელეფონი 7—61. (ნ. 2—1)

## ლმობიერება მიუტევებელი დანაშაული იქნება

კმარა. ლაპარაკი უკვე ზედმეტია. ორჭოფობა უადგილოა. მერყეობა დანაშაულებაა. ეხლა უკვე ურწმუნო თომანიც დარწმუნდენ, რომ ბოლშევიკები თუმცა ბნელი, მუხანათური, მაგრამ მაინც საქმის ხალხი არიან. როგორი ოსტატობით იკატუნებდენ თავს ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში აქაური კომუნისტები, ისინი გულუბრყვილოებს თავს ღვთის კრავათ აჩვენებდენ და უდანაშაულოთ დასჯილთა მანტიაში ეხვეოდენ. ზოგ ჩვენ ამხანაგსაც იქვი ეპარებოდა, ვაი თუ ტყვილაუბრალოთ მოწამებრივობის გვირგვინს ვადგამთ მათ თავს. ნუ თუ რუსეთის შემხედვარენი, თუ კი საჯაროთ არ მოინანებენ თავიანთ შეცოდებას, აქ მაინც როგორ გაბედავენ გაიმეორონ რუსეთის საშინელებანიო. ეს თითქოს მართალია, მაგრამ ასეთი მსჯელობის წინადებულება გულისხმობს, რომ ეს ხალხი ჩვეულებრივი ადამიანებია, რომელნიც არ არიან მოკლებულნი საშუალო ადამიანურ ლოღიკას, აზრს, გონებასა და კეთილსინდისიერებას. მაგრამ სად კომუნისტები და სად პოლიტიკური პატიოსნება. მათი ბელადის უპირველესი ზნეობრივი მცნება „მიზანი ამართლებს საშუალებას" — მოსესხებულია იეზუიტთა მორალიდან. მაშ პოლიტიკურ კეთილსინდისიერებას აქ რა ადგილი უნდა ჰქონდეს. ბოლშევიკთა ბელადები საპატიმროდან მთავრობას ემუდარებიან, გაგვიშვით და ლოიალობის პატიოსან სიტყვას ვდებთო. ამავე დროს კი დანას ლესავენ, რომ მუხანათურათ ჩასცენ ის ზურგში მათ მიერ გაბრიყვებულ დემოკრატიის მესვეურთ და თვით დემოკრატიას. როგორც სჩანს ამ ვაებატონებს განზრახვა ჰქონიათ მეტეხიდან რუსთაველის პროსპექტზე, სასახლეში გადაბარგების. ტყვილა კი არ უკითხავს ლაგოდეხელ შეამბოხეთა მეთაურს პირდაპირი მავთულით—„ახალი მთავრობის შემადგენლობა როგორიაო". მუხანათობა, შუღლგარეცხილობა და სხვა ამგვარი ცნებანი ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებს ეგნატე ლოიოლას ორდენის (ლენინის იანიჩართა გუნდის) წევრთა ზნეობრივ სახეს—მათი „მშვენიერი" მიზნისთვის ყოველგვარი საშუალება მშვენიერია. ეს ზნეობაა და ამ საგანზე კომუნისტებთან ლაპარაკი და დავა შეუძლებელია. რომაელები ამბობდენ, თუ მოკავშირეთა შორის საერთო პრინციპები არ არის, მაშინ კამათი არ შეიძლებაო. და მართლაც, როგორ მიუდგები სა კამათოთ ზნეობრივის მხრით იმ ხალხს, რომელთაც ამ სფეროში მხოლოდ ერთი უარყოფითი პრინციპი აქვთ—ზნეობრივი უპრინციპობა. კი, მაგრამ გონებამ მაინც როგორ უღალატა ასე? როდესაც განრისხებული იუპიტერი ვისმეს დასჯას განიზრახავდა, ის პირველყოვლისა გონებას წაართმევდა თავის მსხვერპლს. იუპიტერმა უკვე გადასწყვიტა, უკვე გამოიტანა სასტიკი განაჩენი კომუნისტთა წინააღმდეგ და თავის ადათის თანახმად პირველყოვლისა გონება წაართვა განწირულთ. აბა რით აიხსნება ის უაზრო მზაკვრობა, რომელიც მათ ჩაიდინეს უკანასკნელ დღეებში. ჯერ დაწვრილებითი ცნობები მთავრობას არ გამოუცხადებია ოფიციალურათ, მეტი დაყოვნება კი არ შეიძლება, საჩქაროთ უნდა იცნოს მთელ ხალხს ბოლშევიკთა საგმირო საქმენი. გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა რკინის გზელთა მეორე ყრილობას მოახსენა კომუნისტთა გამოსვლების შესახებ. საინტერესო ცნობები დაუმატა ამ მოხსენებას ჯავშნოსანის სარდალმა ამხ. ვალოდია გოგუაძემ, რომელიც მონაწილეობდა ამბოხების ჩაქრობაში. გამოირკვა შემდეგი. მთავრობას რამდენიმე თვის წინეთ ცნობა ჰქონია, რომ მოსკოვის თვითმპყრობელთ დიდი თანხა გადაუდვიათ საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ, რათა ამ გვარათ დენიკინი საქართველოს საქმეებში დააბანდოს და მით კომუნისტთა სამხედრო მდგომარეობა რუსეთში რამდენიმეთ გააძლიეროს. რა უყოთ მერმეთ, რომ ეს საქართველოს დემოკრატიას თვით ხალხის ფიზიკურ არსებობას განადგურებას უქადის. სო სო ჯუღაშვილებისათვის, ბუდუ მდივნებისათვის რა დიდი საქმეა, რომ საქართველოს ხალხის ბედნიერება, ქართველ მუშათა რამდენიმე ათი ათასის სიცოცხლე [illegible] ტროცკებს. დენიკინის საქართველოს საქმეებში ჩარევით ორი სამი თვით ხომ კიდევ შეიძლება კომუნიზმის ტირანთა ტახტის გახანგრძლივება. აი ამ მიზნით მათ გადასწყვიტეს გამოსვლები მოეწყოთ მთელ რესპუბლიკაში ოცდა სამს ამ თვეს ოთხ საათზე. ასეთი გამოსვლები მოხდა. უფრო დაჩქარებით სოხუმში. დანიშნულ დროს კი ფოთში, სამტრედიის რაიონში, დუშეთში, თელავში და ლაგოდეხში. ყველა ეს ამბოხებანი ჩაქრობილ იქნა მთავრობის მიერ. გამოირკვა, რომ დაპატიმრებულ მეამბოხეთა შორის არიან კომუნისტები, დენიკინელი რუსები, ჩინელები და ცნობილი ყაჩაღებიც. ბევრისთვის წინათაც ნათელი იყო, ხოლო ეხლა კი ყველასათვის გამოაშკარავდა, რომ ის, რასაც ბოლშევიზმი ეწოდება ჩვენში, ეს არის შეერთებული სამ მღვრიე და ბინძური ნაკადი კომუნისტური ფანატიზმის, დენიკინელთა ინტრიგის და ავაზაკთა ზრახვების. მეამბოხეთა შორის არიან კომუნისტები, და როგორც საერთოთ ბევრი მათგანი, ამ ჯგუფშიაც საკმარისათ არა სრულიად ნორმალური პირები. მათ წითელი დროშა მართლაც უყვართ, მაგრამ ესენი ცივი გულის და ცხელი თავის პატრონები არიან. აქვე აღმოჩნდენ დენიკინელები, მათი ხელი თვით გამოსვლების გეგმასაც აშკარათ ემჩნევა—ამბოხება საზღვრებზე, ლაგოდეხში, სოხუმში, ფოთში, რათა ადვილათ გაირღვეს ფრონტი და მეფის ღენერლები შემოიჭრან. ბლომათ მონაწილეობდენ ხურჯინიანი კომუნისტები, რომელნიც დოვლათის შეგროვებას ეწეოდენ სამტრედიის „სოციალისტურ რევოლიუციის" დროს.

მინისტრის მოხსენების დროს რკინის გზელ დელეგატთა და დამსწრე მუშათა შორის ერთგვარი უკმაყოფილების ხმა ისმოდა. პროლეტარიატის მოწინავე რაზმი გრძნობდა, რომ ეს გამოსვლები არსებითათ შავი კონტრრევოლიუციაა, ის მოითხოვდა და კიდეც მოითხოვა მთავრობისაგან მეტი სიმტკიცე და სისასტიკე ანარქიასთან ბრძოლაში. ყრილობისთვის აშკარა იყო, რომ რესპუბლიკის სამ პიროვანი მტერი კომუნისტი დენიკინელი-ავაზაკი ობიექტიურად ერთ და იმავე შავ საქმეს აკეთებს და მუშათა კლასს დანას სცემს ზურგში. ამიტომ მთელმა ყრილობამ ორი ხმის წინააღმდეგ მთავრობას მოსთხოვა, რომ მან „პროლეტარული სიმტკიცით და მედგრობით აღმოფხვრას კონტრ-რევოლიუცია, რა სამოსელშიაც არ უნდა იქნეს ის იგახვეული".

ასეთია პროლეტარიატის მოწინავე რაზმის აზრი და ნება, და ეს მთავრობის სახელმძღვანელო ხაზათ უნდა გადაიქცეს, ზედმეტი გულჩვილობა, ლმობიერება მიუტევებელი დანაშაული იქნება დემოკრატიისა, მუშათა კლასისა და თვით ისტორიის წინაშე. გახურებული რკინის შანთით უნდა მომწვარ იქნას ის მტკივანი ადგილები ჩვენს ორგანიზმზე, რომელიც კონტრ-რევოლიუციის იარებს წარმოადგენს.

ამას მოითხოვს დემოკრატიის ინტერესები, ეს მოითხოვა თვით პროლეტარიატმა, მმართველთ კი ახსოვდეთ, რომ „ხალხის ნება და კეთილდღეობა—უზენაესი კანონია".

## რკ. გზელთა ყრილობა

რკინის გზის ყრილობამ თავის პირველ საქმიან სხდომაზე მოისმინა ცენტრალური გამგეობის და კულტურული სექციის მოხსენება.

მოხსენება მეტად მდიდარი და შინაარსიანი გამოდგა. გამგეობის საქმიანობის დასახასიათებლათ საკმარისია თუ გინდ ის ას ოცდა ხუთი სხდომა, რომელიც გამგეობას ათი თვის განმავლობაში გაუმართავს.

პირველმა ყრილობამ გამგეობას მრავალი აწეწილ-დაწეწილი საქმეები გადასცა და, უნდა ითქვას, გამგეობასაც პირნათლათ აუსრულებია თავის მოვალეობა.

რა თქმა უნდა, უცოდველი და შეუმცდარი არავინაა. ის არ ცდება, ვინც არაფერს აკეთებსო—უთქვამთ დიდი ხანია. ამიტომ გამგეობის მუშაობასაც ემჩნევა დეფექტები, მაგრამ ეს ხომ აუცილებელი იყო ჩვენს მძიმე და დახლართულ მდგომარეობაში. თუ ამას დაუმატებთ იმ ფსიქოლოგიურ გაწყობილებას, რომელსაც, რასაკვირველია, ვერც რკინის გზის დემოკრატია აცდებოდა—ადვილი წარმოსადგენია ის დაბრკოლებანი, რომელიც ხშირად აღიმართებოდა ხოლმე გამგეობის სავალ გზაზე.

წინათ რკინის გზის ორგანოები დიდ პოლიტიკურ ფუნქციებსაც ასრულებდენ. მან შეგნებულათ აიღო ამაზე ხელი და ის თავის მთავრობას გადასცა. ამ დღიდან რკინის გზის დემოკრატიის საქმიანობა პროფესიონალურ კითხვების გარშემო დატრიალდა. ეს იყო გარდამავალი ეტაპი კავშირის ცხოვრებაში და ეტაპი მეტად ძნელი დასაძლევი. დაჩვეულს და ფსიქოლოგიურათ გაწყობილს მართვა გამგეობისათვის—ჩადგომა პროფესიონალურ კალაპოტში, ცოტა არ იყოს, გაუძნელდა. საჭირო იყო დრო, დაუშრეტელი ენერგია, უფრო მეტად კი „ღლმა ცურვა", რომ გამეფებული ტრადიციები ძლეულიყო და აი დღეს, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ რკინის გზის მოწინავე დემოკრატია დაჟინებით მოუთხოვს ყველა იმ ფუნქციების ხელ-აღებ უარყოფას, რომელიც არ გამომდინარეობს მისი პროფესიონალური ბუნებიდან. ასეთია სხვათა შორის, მუშა მოსამსახურეების მიღება დათხოვა, გადაყვან გადმოყვანა, აღმატება და სხვა.

ულმობელმა პრაქტიკამ დაარწმუნა ისინი, რომ გარდა სახელმწიფოებრივი მიზნებისა ამ ფუნქციების ასრულება ართმევს კავშირს უმეტეს დროს, იწვევს უთანხმოებას და უკმაყოფილებას, როგორც კავშირის ნაწილებთა შორის, ისე კერძო მუშა-მოსამსახურეთა და გამგეობას შორის და ასე ხელს უწყობს დემოკრატიის არა დარაზმვას, არამედ დაყოფას, დანაწილებას, დაუძლურებას და ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებას. რომ კავშირი თავისუფალი ყოფილიყო ამ მისთვის შეუფერებელი მოვალეობისაგან, მას დრო და საშუალება ექნებოდა უფრო გაეძლიერებია ის პროფესიონალური მუშაობა, რომელიც ასე საჭიროა დღეს არა მარტო რკინის გზაზე, არამედ საერთოდ ყველა კავშირებში.

პროფესიონალურ მუშაობა მოძრაობას ჩვენში ცოტა ჰყავს შესაფერათ მომზადებული პირი; პრაქტიკაც შემთხვევითი და მოკლე აქვს. გასაკეთებელი და სამუშაო კი აუარებელი. თუ ეს სძლია ჩვენმა კავშირებმა, ისიც კარგია, თორემ კიდევ სხვა ფუნქციების აკიდება და ისიც ისეთის, რომელიც არ გამომდინარეობს მისი ბუნებიდან, ეს იქნებოდა თავის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება. თავის ნამდვილი დანიშნულების გვერდის ახვევა, რაიც მეტად დიდ ზიანს მოუტანს კავშირის მოქმედება-მთლიანობას. ამიტომ, ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რკინის გზის დემოკრატია შესძლებს ყოველივე ამაების დაძლევას, მოიშორებს დროთა მსვლელობის მიერ თავზე მოხვეულ ფუნქციებს და თავის კავშირს ჩააყენებს წმინდა პროფესიონალურ ჩარჩოებში და მისი კარგათ მოწყობა აუშავებით დაიჭერს იმ საპატიო ადგილს, რომელიც მისთვის ჩვენი ქვეყნის ისტორიას გაუმზადებია.

განი.

## უკანასკნელი ცნობები

**მთიელთა მეჯლისის პროტესტი პოლკოვნიკ როლანდსონის მოწოდების გამო.**

გენ. დენიკინთან მყოფ ინგლისის მისიის წარმომადგენლის პოლკ. როლანდსონის მოწოდების გამო მთიელთა მეჯლისმა წარუდგინა ამიერ კავკასიის დიდი ბრიტანეთის კომისარს ოლივერ უორდროპს პროტესტი, სადაც აღნიშნულია, რომ ინგლისის ოფიცრის მიერ დარღვეულია ყოველივე ელემენტარული საერთაშორისო ეთიკა. თავის მოწოდებაში ინგლისელი ოფიცერი ლაპარაკობს არა მარტო თავის სახელით, არამედ სხვა სახელმწიფოების და თვით დენიკინის სახელითაც გამოდის. პოლკოვნიკი აცხადებს, რომ რუსეთი უნდა იყოს მთლიანი და განუყოფელი და ეს განცხადება წინ უსწრობს საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებას. მთიელების ბოლშევიკებათ დასახვა, ეს ერთი ხრიკთაგანია დენიკინისა და თუ ამასვე იმეორებს ინგლისის ოფიცერი, ეს ნიშნავს იმას, რომ ის იმყოფება მოხალისეთა რეაქციონურ წრეების გავლენის ქვეშ.

**ბათუმის პორტის დაკეტვა.**

ბათუმის პორტი დაკეტილია ყველა პირებისათვის, ვინც მიდის კერჩიდან, იალტიდან და ოდესიდან, გარდა იმ პირებისა, ვისაც აქვთ მოწმობები კონსტანტინეპოლის ბრიტანეთის მისიისაგან, ან და ამიერ-კავკასიის ინგლისელ ჯარების მთავარ-სარდლისაგან.

**დერბენდის ხელმეორე აღება მოხალისეების მიერ.**

10 ოქტომბერს დერბენდს მოუახლოვდა სამი გემი და ქალაქს დაუწყეს ყუმბარების სროლა. მთიელებმა უპასუხეს სროლითვე, მაგრამ მათი ყუმბარები დანიშნულებას ვერ აღწევდა და ზღვის ზედა პირზევე სკდებოდა. ცხადი იყო, რომ დენიკინელების არტილერია გაცილებით უკეთესი იყო და მთიელნი იძულებული იყვნენ ნაწილი ქალაქისა დაეტოვებინათ. რამდენიმე ხნის სროლის შემდეგ დენიკინელები ნაპირზე გადმოვიდენ. ყაზახების ათეულებმა ტყვიისმფრქვეველები აამუშავეს და იძულებულ ჰყვეს მთიელნი ქალაქი დაეტოვებინათ. აჯანყებულებმა თავი ქალაქის განაპირა ბაღებს შეაფარეს. ყაზახებმა მოინდომეს მათი იქიდანაც განდევნა, მაგრამ მთიელებმა მათ დიდი ზიანი მიაყენეს და უკან დაახევინეს. მეორე დღეს სტრატეგიულ მოსაზრებით აჯანყებულ მთიელებმა ბაღებიც დასტოვეს. („ვ. გ.")

**კავკასიის საკითხი.**

გაზეთ „პონიდელნიკს" კონსტანტინეპოლის კორესპოდენტი ატყობინებს, რომ ინგლისელებს ძლიერ აშინებთ მოხალისეების და გერმანელების მომავალი შეკავშირება. ინგლისს გათვალისწინებული აქვს რა ზემოხსენებული კავშირი, სურს თავისი გავლენა შეინარჩუნოს კავკასიაში, რადგანაც დარწმუნებულია, რომ გერმანიამ და დენიკინელებმა თუ შეკრეს კავშირი, ისინი შეეცდებიან ინგლისელების გავლენა აღმოსავლეთში შეასუსტონ. სტამბოლის დიპლომატიურ წრეებში ხმები დადის, რომ ინგლისს განზრახვა აქვს საქართველოს და აზერბეიჯანის მანდატი აიღოსო. („პონ.").

## საქართველოს გარშემო

**საქართველო და მისი მეზობლები**

4 ოქტომბრის „ტან"-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„პარიზში მყოფი საქართველოს დელეგაცია გვატყობინებს იმ წერილის ასლს, რომელიც გაუგზავნა მან სტეფანე პიშონს. ამ წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იმის და მიუხედავათ, რომ არსებობს უთანხმოება საქართველოს და სომხეთის შორის, ეს ქვეყნები ურთიერთ შორის ომს არ აწარმოებენ. როგორც ყოველთვის, საქართველო იფარებს მრავალ სხვადასხვა მხრიდან გამოქცეულ სომხებს. სომხების მეზობლათ არ არსებობს ისეთი ხალხი, რომელთანაც უკეთეს დამოკიდებულებაში იყვნენ სომხები, ვიდრე საქართველოსთან. საქართველოს დამოკიდებულება სხვა მეზობლებთანაც არის სოლიდარული და მეგობრული. საქართველოს მთავრობის ინიციატივით თფილისში მოწვეულ იქნა მეორე კონფერენცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, რათა შეთანხმებით გადაეწყვიტათ ყველა სადაო საკითხები. საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა შექმნეს ადმინისტრატიული და სასამართლოს ორგანიზაციები, რომელთაც, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებისა, შესძლეს წესრიგის და მშვიდობიანობის დამყარება და თავისუფლების დაცვა. რაც შეეხება ეკონომიურ ურთიერთობას საქართველოს და საფრანგეთს შორის, დელეგაცია იტყობინება, რომ საზღვაო ტრანსპორტი მარსელიდან ბათუმამდე არ არის დამოკიდებული საქართველოს მთავრობისაგან. რკინის გზით მიმოსვლა ბათუმიდან ბაქომდე სწარმოებს რეგულიარულათ. ფულის საკითხი რასაკვირველია აფერხებს სავაჭრო ოპერაციებს. მაგრამ ამას ეშველება ის ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც ამიერ-კავკასიას აქვს. (ნავთი, მარგანეცი, ბამბა, აბრეშუმი, ჩალტური, თამბაქო და სხვა) საქართველოს დელეგაცია ანგარიშს უწევს და მნიშვნელოვნათ მიაჩნია ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და საფრანგეთის, და საფრანგეთს და კავკასიის შორის. ცდა ამ მხრივ უკვე არის კერძო ინიციატივის მიერ. საქართველოს მთავრობა მათ ყოველ მხრივ შეუწყობს ხელს: მეორეს მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქონლის შემოტანა საქართველოში და აზერბეიჯანში შავი ზღვით ეხლა უკვე საგრძნობლათ სწარმოებს. საქართველოს დელეგაცია ხელმძღვანელობს საქართველოს წრფელი სურვილით გაანვითაროს და ხელი შეუწყოს საფრანგეთთან დამოკიდებულება. და ეს ხდება მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ სცნობს საქართველოს არც ფაქტიურათ და არც იურიდიულათ. საქართველოს იმედი აქვს, რომ ბოლოს ცნობილი იქნება საქართველოს დემოკრატია, რომელმაც დაამტკიცა თავისი სიმტკიცე ყოველივე გასაჭირის დროს".

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სომეხ თათართა შეთანხმების გარშემო.**

გაზეთ „აზერბეიჯანის" 25 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია მეთაური წერილი სომეხ თათართა დამოკიდებულების და პოლ. ჰასკელის პოლიტიკის შესახებ: „პოლკ. ჰასკელი აცხადებს, რომ ნახჩევნის და შარურის რაიონების შესახებ მოხდა შეთანხმება ადერბეიჯანს და სომხეთს შორის. იქ ძალა უფლება ამერიკის გენერალ გუბერნატორის ხელში იქნება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ კმაყოფილება გამოსთქვას პოლკოვნიკ ჰასკელის განცხადების შესახებ, რადგანაც ეს მხარეები ჩვენ რესპუბლიკის ნაწილს შეადგენს. ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლისათანავე ჰასკელმა მიზნათ დაისახა სომხეთს და ადერბეიჯანს შორის მოდუს ვივენდის დამყარება, პირველი მისი ნაბიჯები მიმართული იყო იქითკენ, რომ შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებანი ნახჩევნის, შარურის და ვედი ბასარის რაიონებში. პოლკოვნიკ ჰასკელმა წინადადებით მიმართა ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებს ერევნის გუბერნიაში ნეიტრალური ზონა დაარსებულიყო და ძალა-უფლება ამერიკის გენერალ-გუბერნატორის ხელში გადასულიყო. ჩვენის მხრივ გვქონდა რა სურვილი ადერბეიჯან სომხეთის დავა მოსპობილიყო, ჩვენი მთავრობა დიდ კომპრომისზე წავიდა. იგი დასთანხმდა ერევნის გუბერნიის ადერბეიჯანის ნაწილი გამოყოფილიყო და ცალკე საგენერალ გუბერნატორო დაარსებულიყო, რომლის სათავეშიაც ჩადგებოდა ამერიკის წარმომადგენელი, და მთელი ხარჯები ამ მხრის გასაძღოლათ უნდა მიეღო თავის თავზე ადერბეიჯანის ხაზინას.

ჩვენ იმედი მოგვეცა პოლკოვნიკ ჰასკელის ბაქოში ყოფნის დროს, რომ იგი ჩვენს აზრს იზიარებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, თფილისში ყოფნის დროს პოლკოვნიკმა ჰასკელმა შეადგინა ახალი პროექტი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა ჩვენ სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენმა მთავრობამ უარი განაცხადა მიეღო ახალი პროექტი პოლკ. ჰასკელისა, რომლის შემდეგაც პოლკოვნიკმა წინადადებით მოგვმართა შეუსწორებლივ მიგვეღო მის მიერ შემუშავებული გეგმა. ჩვენმა მთავრობამ, არ შესცვალა რა თავისი პრინციპიალური პოზიცია, საჭიროდ სცნო მიეღო პოლკოვნიკის წინადადება ცნობათ. პოლკოვნიკმა ჰასკელმა გამოგზავნა ბაქოში თავისი წარმომადგენელი ბ. რეი, რომელმაც წინადადებით მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას დაენიშნათ თავიანთი წარმომადგენლები შერეულ კომისიაში და მოეხდინათ ნეიტრალიზაცია ამ რაიონისა. ჩვენმა მთავრობამ განუცხადა, რომ მას არ აქვს უფლება მიიღოს ისეთი გეგმა, რომელიც მის ხალხის საარსებო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 ოქტომბერი.

**ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.**

მარშალმა ფოშმა უმაღლეს საბჭოს აუწყა, რომ მან მოკავშირეთა შტაბებთან შეთანხმებით შეიმუშავა სამხედრო ზომები, რომელიც საზავო ხელშეკრულებასთან ერთად უნდა განხორციელდეს. მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების შემადგენლობა სხვადასხვა ადგილებში უკვე შემუშავებულია. ამერიკული ჯარის მონაწილეობა დამოკიდებულია ვაშინგტონში სენატის მიერ საზავო ხელშეკრულების დადასტურებაზე. ფოში დარწმუნებულია, რომ საოკუპაციო ჯარების გადაჯგუფება ნოემბრამდე დასრულდება, რის შემდეგაც მოხდება რატიფიკაციების გაცვლა და ხელშეკრულება ძალაში შევა.

# დღეს

ნორვეგიაში და შვეციაში საპროტესტო მიტინგები იმართება საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გამოცხადების გამო

ჩინეთში მოძრაობაა იაპონიის წინააღმდეგ

შორეულ აღმოსავლეთში რუსის მცხოვრებთა და იაპონიის ჯარს შორის ბრძოლებია.

მოხალისეთა ჯარმა ცარიცინის მაზრას 20 მილიონი მანეთის კონტრიბუცია დაადო. მიზეზი პურის ბეგარაზე უარის განცხადებაა.

ვარშავის რკ. გზაზე წითელმა ჯარმა სადგური სტრუგი-ბელიე აიღო.

წითელი ჯარი კურსკისკენ შეტევას აწარმოებს

გატჩინოსთან მედგარი ბრძოლებია; ორივეს მხრივ მსხვერპლი დიდია.

პეტერგოფის მიმართულებით (ფინეთის ყურესთან) წითელმა ჯარმა გაიმარჯვა

ლატიშთა და თეთრ რუსების ჯარებს შორის მიტავის მიმართულებით მკაცრი ბრძოლებია.

ლიონის რადიო სადგურის ცნობით გერმანულ გაზეთებში ცნობები ყოფილა დაბეჭდილი, რომ უკანასკნელ ხანს მოსკოვში ბოლშევიკებზე თავდასხმის დროს ლენინი მძიმედ დაუჭრიათ მუცელში.

---

ბულგარეთის მინისტრმა დღეს საზავო კონფერენციას ჯადასცა პასუხი მოკავშირეთა პირობებზე. პასუხის განმარტება 130 გვერდს შეიცავს.

გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ მოსკოვიდან მიღებულ ცნობებით, უკანასკნელ ხანს ბოლშევიკებზე თავდასხმის დროს ლენინი მძიმედ დაიჭრა მუცელში.

ლიბავიდან იუწყებიან, რომ პოლკოვნიკ ავილოვ-ბერმონტმა თხოვნით მიმართა ფოშს, თავისი ჩარევით შეაჩეროს ახალი სისხლის ღვრა რუსეთის ტერიტორიაზე და დაუყონებლივ გამოგზავნოს კომისია მის არმიაში.

**იტალიური პრესის ცნობები**

ადინოში მცხოვრებ ოსმალებმა მცირე აზიაში იტალიის საექსპედიციო კორპუსის სარდალს მიმართეს დეპეშით სადაც მხურვალე მადლობას სწირავენ ხსენებულ ქალაქში 5000 ლტოლვილ ოსმალოს გადარჩენისთვის.

მილანში არსდება კომერციული დაწესებულება მატყლის ვაჭრობის მოსაწესრიგებლად.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ეროვნულ ყრილობაზე ხუთშაბათს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიულერმა განაცხადა: „ჩვენ მზათა ვართ საზ. ხელშეკრულების პირობები შევასრულოთ და ყოველ მხრივ ვეცდებით ამას. მაგრამ განა შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი გუშინდელი მტრები გაიგებენ ჩვენს მდგომარეობას? ამას წინად საფრანგეთის მინისტრმა სენატში განაცხადა: სიძულვილი ხელს ვერ შეუწყობს საკითხის გადაწყვეტასო. ეს მართალია, მაგრამ ასეთი კი არის საფრანგეთის პოლიტიკა.

გერმანული პრესა უარყოფს ვენ ს გაზეთების ცნობას, ვითომ მოწამლულ გაზების გამომგონებელი დ-რი ჰერსტი შვეციაში გაპარულიყოს იმის შიშით, რომ მოკავშირეთათვის არ გაეცათ. დ-რი ჰერნსტი ამჟამად გერმანიაშია და უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს.

მიუხედავათ შვეციის პროტესტისა, ინგლისელებმა ბლოკადის გამო აკრძალეს შვეციიდან მადნეულობის შეზიდვა გერმანიაში.

ეროვნულ ყრილობაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მიულერმა სხვათა შორის განაცხადა: მრავალ ქვეყანაში ფიქრობენ, რომ რეაქციონერები ამზადებენ რუსეთ გერმანიის კავშირს და ამ თეორიას მრავალ ადგილას ამტკიცებენ ფონ დერ ჰოლცის მიერ პოლკოვნიკ ბერმონტ-ავილოვისთვის გაგზავნილ დეპეშით. გერმანიის მთავრობა ამ დეპეშის გაგზავნას მხარს უჭერს და იმედი აქვს, რომ ეს უკანასკნელად მოხდა საბჭოთა რუსეთის ბლოკადის შესახებ, რომელსაც მოკავშირეები მოითხოვენ, მიულერმა სთქვა: „არავის შეუძლია დაგვაბრალოს ბოლშევიკების მდგომარეობა: ჩვენ ყოველგვარ ეჭვს გარეშე ვდგევართ ამ შემთხვევაში, რადგან ბოლშევიკურ რუსეთში და ბოლშევიზმში ჩვენი ქვეყნისთვის დიდ საფრთხეს ვხედავთ. მაგრამ ვიცით აგრეთვე, რომ ბოლშევიზმი იზრდება მოკავშირეების მიერ მიღებულ შეუფერებელ ზომებით. ვიცით თუ რა არის ბლოკადა, ჩვენ გამოვცადეთ მისი საშინელი შედეგები. ბლოკადისაგან იტანჯება ხალხი.

უმუშევრობა და შიმშილი ხელს უწყობს ბოლშევიზმს. სანამ რუსეთი ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობას არ მიიღებს, მას ძალა არ ექნება მოიშოროს ბოლშევიზმი. რუსეთის საკითხი უნდა გადაწყდეს სანამ ევროპაში ზავი დამკვიდრდება და ჩვენ გადაწყვეტილ პროტესტს ვაცხადებთ ბლოკადის გამო.

**როსტოვის პრეს ბიუროს ცნობები.**

წითლების სამხედრო ბაზები განადგურებულია. ტამბოვსა, კოზლოვსა, გრიაზსა, ელეცსა და ვორონეჟში წითლების მიერ ჯარში გაწვეული 100,000 კაცი დავითხოვეთ და ჩვენ მხარეზე გადმოსულთაგან 3 დივიზია შევადგინეთ.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ოქტ. 25. ზინოვიევი წერილში: „პირველი გამარჯვება" ამბობს: „ოქტომბრის 23-ის დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება წითელი პეტროგრადისთვის. დეტსკოე სელოსთან ბრძოლას გატჩინოსა და კრასნოე სელოსთან 2 წლის წინად კერენსკისა და კრასნოვის ჯარებთან მომხდარ ბრძოლაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. ჯერ კიდევ გუშინ თეთრებს იმედი ჰქონდათ პულკოვის მაღლობების აღებისა, მაგრამ ამ დროს ჩვენ თავი მოვუყარეთ მნიშვნელოვან დამკვრელ ძალას და დავამარცხეთ. ბრძოლას დიდი მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრით. ბოლოს თეთრები დამარცხდნენ იმავე საღამოს დიდი ბრძოლის შემდეგ პავლოვსკი ავიღეთ. გარდატეხა უკვე მოხდა. ინგლისურ ფრანგულმა რადიომ ნაადრევად ამცნო მთელ ქვეყანას, რომ პეტროგრადის აღება უზრუნველყოფილია, რომ იუდენიჩის შტაბი უკვე დეტსკოე სელოშია და რომ კრონშტადტი და კრასნაია გორკა უკვე აიღეს თეთრებმა".

**სარატოვი.** 20 ოქტ. გენ. ვრანგელის განკარგულებით ცარიცინის მაზრას 20 მილიონი კონტრიბუცია დაადეს. მიზეზი პურის ბეგარზე უარის განცხადებაა.

**ვიტებსკი.** 24 ოქტ. დიდი აღფრთოვანებით დასრულდა უპარტიო მუშა ქალების კონფერენცია. აუარებელი მუშა-ქალი პარტიაში ჩაეწერა.

**სარატოვი.** 24 ოქტ. ცარიცინში სპეკულაციის ტალღა დენიკინის მთელ არმიას მოედო. სპეკულაციას ეწევა ყველა: ჯარისკაციდან დაწყებული გენერლამდე. მოგების გამო ოფიცრობა გაფანტულია ქალაქში ახლად გახსნილ კაფე შანტანებში.

**პეტერბურგი.** 23 ოქტ. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს აუწყა, რომ ფინეთი ყოველთვის ისე ეპყრობოდა საბჭოთა რუსეთს, როგორც ამას მოითხოვდა მოკავშირეთა ამას წინად წარმოდგენილი ნოტა და ფინეთის მთავრობა იმავე პოლიტიკას ადგება მომავალშიაც. უკანასკნელ დღეებში ფინეთის სახელმწიფომ განიხილა საკითხი: უნდა მიიღოს თუ არა ფინეთმა მონაწილეობა პეტროგრადზე შეტევაში. მიღებულ რეზოლიუციის შესახებ ჯერ არაფერი გამოუცხადებიათ.

**პეტერბურგი,** ოქტ. 23. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ წარსულ კვირას იქაურმა მემარცხენე სოციალისტებმა და ზოგიერთმა პროფ. კავშირებმა მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგი მოაწყო საბჭოთა რუსეთის ბლოკადის გამო. მიტინგზე 3000-ზე მეტი კაცი დაესწრო. ინციდენტი არ მომხდარა. მხოლოდ პოლიციამ დაიჭირა ერთი დროშა, რომლის წარწერაც მოუწოდებდა რუსეთის მუშებთან სოლიდარობისაკენ.

**პეტერბურგი,** ოქტ. 23. ქრისტიანიიდან იუწყებიან, რომ ნორვეგიის მუშათა პარტიამ გამოუშვა მოწოდება, სადაც ნორვეგიის ყველა პარტიულ ამხანაგებს და ორგანიზაციებს მოუწოდებს ოქტომბრის 7—9 საპროტესტო მიტინგები მოაწყონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადის გამოცხადების გამო. მიტინგებზე უნდა მოითხოვონ, რომ მთავრობამ უარი განაცხადოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებაზე და საბჭოთა რუსეთთან აღდგენილ იქნეს ურთიერთობა.

**ნაუენი.** ოქტ. 24. ამერიკიდან იუწყებიან: გაფიცულ რკინის ჩამომსხმელთა და მწარმოებელთა შორის მოლაპარაკება შესწყდა. გაფიცვა გრძელდება.

**ჩელიაბინსკი.** ოქტ. 24 პეკინის გაზეთების ცნობით, იაპონიაში ბრინჯის და სხვა სურსათის გაძვირების გამო უკმაყოფილება იზრდება. იაპონიაში მუშათა შორის არსდება პროფესიონ. ორგანიზაციები, რომლებიც ხელფასის მომატებისთვის იბრძვის.

**ჩელიაბინსკი.** ოქტ. 24. შანხაიდან იუწყებიან, რომ ჩინეთში იზრდება მოძრაობა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩინელები ანადგურებენ იაპონურ ბაზარებს და მიკადოს სურათებს და იაპონიის საწინააღმდეგო მანიფესტაციებს აწყობენ. იაპონიის მთავრობა ძალიან დააფიქრა შორეულ აღმოსავლეთში რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდამ. შორეულ აღმოსავლეთში რუსის მცხოვრებთა ბრძოლა იაპონიის ჯართან გრძელდება. იაპონიის სარდლობა მკაცრ ზომებს ღებულობს აჯანყებულთა წინააღმდეგ, დაბა-სოფლებს სწვავენ, გლეხებს ხვრეტენ. აღშფოთებული გლეხები პარტიზანთა რაზმებს ადგენენ. უკანასკნელ ხანს იაპონელებსა და პარტიზანებს შორის ბრძოლა სწარმოებს ბაიკალის და ამურის ოლქებში.

**გომელი.** ოქტ. 22. ხარკოვის გაზეთების ცნობით, ოსმალეთის მთავრობამ აკრძალა დენიკინის ფულის ხმარება.

**მოსკოვი.** ოქტ 25. სამხედრო ცნობა. პეტროგრადთან ჩვენმა ჯარმა პავლოვსკი აიღო. წინსვლა გრძელდება. დასავლეთის ფრონტი. ვარშავის რკინის გზაზე სად. სრუგი ბელიე ავიღეთ. პოლოცკის რაიონში მტერი მდ. უშაჩს იქით 10—15 ვერსზე გავდევნეთ. დენიკინის ფრონტი. სევსკის და დმიტროვსკის რაიონში ჩვენი შეტევა მარჯვეთ ვითარდება. ორიოლის რაიონში მკაცრი ბრძოლებია, გამარჯვება ჩვენ მხარეზეა. ბრძოლით ავიღეთ ნოვოსილი. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი მტერს იოლ ელეცის სამხრეთით ავიწროებს. ვორონეჟის რაიონში მამაცი ამხ. ბუდიონის საერთო სარდლობით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა გენ. შკუროს ცხენოსანი ჯარი დაამარცხა. წითელმა ჯარმა ვორონეჟი აიღო. ნოვოხოპერსკის სამხრეთით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერი დაამარცხა. კოლჩაკის ფრონტი. კურგანის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს; წამოიყვანა 500-ზე მეტი ტყვე, ხელთ იგდო ტყვიისმფრქვეველები და დავლა.

ალუტოროვის რაიონში ჩვენი ჯარი მარჯვეთ წინ მიიწევს იშიმის რკინის გზის ორივე მხარეზე. წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო დავლა, რომლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. ტობოლის რაიონში მდ. ირტიშის გასწვრივ ზევით და ქვევით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს.

**მოსკოვი,** ოქტ. 25. ლიტვის მთავრობა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს აუწყებს, რომ მზათაა მოლაპარაკება აწარმოვოს ბოლშევიკებთან. ლატვიის მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეულია აჯანყებულ რუს-გერმანელების სამხედრო რაზმებთან ბრძოლაზე. ამიტომ ოქტ. 25-თვის იურიევში დანიშნული მოლაპარაკების დაწყება ვერ მოხდება. ესტონიის მთავრობა მზადაა მოლაპარაკება დაიწყოს ოქტ. 25-ის შემდეგ, თხოულობს რაც შეიძლება მალე აუწყონ დრო შესახვედრად და აგრეთვე მზადაა ეხლავე შეუდგნენ მძევლების გაცვლას.

**მოსკოვი.** ოქტ. 25. ლატიშთა და თეთრ რუსების ჯარების შორის მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა ტორენბერგთან და დვინას ხიდებზე მიტავის მიმართულებით.

მოკავშირეთა პოლიტიკურ წრეებში ძალიან ეჭვობენ, რომ პეტროგრადზე თავდასხმაში იუდენიჩმა გაიმარჯვოს. ფრანგული პრესა აღნიშნავს, წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ იუდენიჩი ვერ გაიმარჯვებს, რადგან ის არ ეყრდნობა რუსის ხალხის ფართე წრეებს. დღეს „ჰუმანიტე" იუწყება, რომ პეტროგრადის მცხოვრებლები გაერთიანდნენ ქალაქის დასაცავად. ყოველ შემთხვევაში იუდენიჩის შეტევა, ყოველ ეჭვს გარეშე, შეჩერებულია. საფრანგეთის სოციალისტები განაგრძობენ ხმა მაღლა პროტესტის განცხადებას მოკავშირეთა მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადის გამოცხადების გამო.

ვიტებსკის, პერმის და ეკატერინბურგის გუბერნიებიდან ცნობები მოდის, რომ გლეხობა ყოველმხრივ ეხმარება საბჭოთა რუსეთს, ყოველგან ადგენს მოხალისეთა რაზმებს ფრონტზე გასაგზავნად.

„ფორვერტს" ი სწერს: „ბლოკადა, რომელიც მიმართულია იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელთანაც ჩვენ შეიძლება არ გვაქვს ომისა, წარმოადგენს აქტს ბოროტს და უპატიოსნოს, ბლოკადის მიზანია რუსეთის სახელმწიფოებრივ მართველობის ფორმის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში ის ნიშნავს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. რაც ჩვენთვის არ გვსურს, ის არც სხვისთვის უნდა გავაკეთოთ. ბლოკადა ომის გამოცხადებას უდრის, ჩვენ კი ყველა ხალხთან მშვიდობიანათ ცხოვრება გვსურს.

**მოსკოვი.** ოქტ. 26 სამხედრო ცნობა. ოქტომბრის 26. ფინეთის ყურეში პეტერჰოფის სამხრეთით 15 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. გატჩინის მიმართულებით ორივე მხრით ტანკების მოხმარებით მკაცრი ბრძოლაა. ვარშავის რკ. გზაზე ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი დ. ნაჩას ხაზზე გადის. კიევის და ჩერნიგოვის რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. ბახმაჩისკენ დესნის სამხრეთ ნაპირზე ბრძოლით წინ წავიწიეთ, ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და სხვა სამხედრო მასალა, წამოვიყვანეთ ტყვეები. სევსკის და დმიტროვსკის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. კურსკისკენ ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. ელეცის დასავლეთით 40 ვერსზე და სამხრეთით 19 ვერსზე მტერი გავდევნეთ. ვორონეჟის რაიონში ამხ. ბუდიონის ხელმძღვანელობით ჩვენმა გმირულმა ჯარმა 24 ოქტომბერს ვორონეჟი აიღო. მტერი დონზე გადავდევნეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. მტრის დევნა გრძელდება. ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამხედრო მასალა და შკუროს და ორლოვის სახელობის ჯავშნიანი მატარებელი. ნოვოხოპერის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. უსტ ბუზლუკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. უსტ მედვედიცის რაიონში ჩვენმა ცხენოსნებმა მტრის მესამე ცხენოსანი და ქვეითი პოლკი დაამარცხა, წამოიყვანა 250 ტყვე, ხელში ჩაიგდო 4 ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. ურალსკის სამხრეთ აღმოსავლეთით ოც ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პეტროპავლოვსკის დასავლეთით 80 ვერსით წინ წავიწიეთ, იალუტოროვის რაიონში ჩვენი შეტევა [illegible] მოკავშირეების და დენიკინის მიერ შექმნილი მამონტოვის კორპუსები ვორონეჟთან ბუდიონის ცხენოსანმა რაზმმა დაამარცხა. ვორონეჟი წითელმა გმირებმა აიღეს. ხელში ჩაგვივარდა მრავალი ქონება, შკუროს სახელობის ჯავშნიანი მატარებელი. დამარცხებულ მტრის დევნა გრძელდება. დაუმარცხებლობის შარავანდედი, რომელიც მამონტოვის და შკუროს სახელის გარშემო შექმნა, ბუდიონის წითელი ჯარის გმირობამ მტვრათ აქცია.

**ბრძოლა პეტროგრადთან.** არმიის შტაბიდან ზინოვიევს დეპეშით შემდეგს აუწყებენ:

მთელ ფრონტზე მესამე დღეს ჩვენი შეტევა გვაძლევს სრულ უფლებას ვსთქვათ, რომ წითლებს აქვთ მისწრაფება შეტევისა მტრის დასამარცხებლად. მტრის წინააღმდეგობა შესამჩნევად შესუსტდა და მის წრეებს ეტყობა დაშლა და დემორალიზაცია. ტყვეები გარკვევით ამბობენ: თუ სამი დღის წინ თეთრგვარდიელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ პეტროგრადს ერთ დღეში აიღებდნენ, ეხლა ყოველივე იმედი გაჰქრა, ყველა იმაზე ფიქრობს მხოლოდ, თუ როგორ გადაირჩინონ თავი. წამოყვანილი ტყვეები, ხელში ჩაგდებული ტყვიის მფრქვეველები და ზარბაზნები, მრავალი დახოცილი და დაჭრილი მოწმობს იმას, რომ მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. განსაკუთრებით დაზარალდა დეტსკოე სელოსთან და პავლოვსკთან მტრის მესამე დამკვრელი პოლკი, რომელმაც შემადგენლობის ორი მესამედი დაჰკარგა. გამარჯვება ახლო არის, თეთრ გვარდიელთა ბრბოებს დავამარცხებთ.

# რეზოლიუცია

**მიღებული რკინის გზელთა ყრილობაზე მომენტის შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მუშაკთა მეორე ყრილობამ მოისმინა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის ა. ლომთათიძის მოხსენება რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობისა და საერთოდ პოლიტიკური მომენტის შესახებ და ცნობა შინაგან საქმეთა მინისტრის იმ გამოსვლების შესახებ, რომელიც ამ დღეებში სცადეს რესპუბლიკისა და დემოკრატიის მტრებმა და დაადგინა შემდეგი: 1) ყრილობა სავსებით იწონებს იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელზედაც ადგია საქართველოს დემოკრატიის უზენაესი ორგანო დამფუძნებელი კრება და მისი მთავრობა; უძღვნის მათ სალამს და რკინის გზის მუშაკთა სახელით აღუთქვამს მას, რომ კვლავინდებურის სიმტკიცით დაუჭერს მხარს მათ ნაყოფიერ და თავდადებულ მუშაობას, რომელიც მიმართულია დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისა და მუშათა კლასის სა-

---

# რევოლიუციის გაღრმავება

(კარლ კაუცკის წერილები*)

(თარგმანი რუსულიდან)

სპარტაკელების შეხედულობის თანახმად, ისინი სხვა სოციალისტურ მიმართულებისაგან მით განსხვავდებიან, რომ აღრმავებენ და აფართოვებენ რევოლიუციას, იმ დროს, როცა უმრავლესობის სოციალისტები (შეიდემანელები) აქეზებენ კონტრ რევოლიუციას, დამოუკიდებელნი კი არ ცოდნით თუ თავიანთი სისუსტით მთავრობაში მონაწილეობა მიიღონ ძალაუნებურათ ხელს უწყობენ კონტრ რევოლიუციას. ამ მსჯელობის თანახმად, რევოლიუციას არა აქვს გარეშე სპარტაკელებისა სხვა მტკიცე ბაზა. როგორც პატარა არ უნდა იყოს ჯერჯერობით ეს ბაზა, სპარტაკელები დარწმუნებული არიან, რომ ის ვითარდება და აქვს მომავალი. ყოველივე რევოლიუცია იწყებოდა ზომიერთა (რევოლიუციონერების) ბატონობით, რომელნიც ადგილს უთმობდნენ უფრო რადიკალურ ელემენტებს, ამ უკანასკნელთ კი ძალა უფლებას ართმევდნენ მემარცხენე რადიკალური ელემენტები. ასევე უნდა მოხდეს ეხლაც. რევოლიუციის პირველ ზომიერ ფაზის აუცილებლად მოსდევს უფრო რადიკალური ფაზისი.

ვიდრე გავაკრიტიკებდეთ სპარტაკელების ამგვარ მსჯელობას და მტკიცებას, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ შემდეგი: **როგორ გვესმის ჩვენ რევოლიუციის გაღრმავება.** ეჭვს გარეშეა, რომ რევოლიუცია არ დამთავრებულა, ის, როგორც პოლიტიკური, აგრეთვე სოციალურის თვალსაზრისით პირველმყოფელ სტადიაში იმყოფება.

მოსპობილია ის მილიტარული ავტოკრატია, რომელიც ხელის შემშლელი იყო ყოველივე პროგრესისა. მაგრამ ძველი ადმინისტრატიული და პოლიტიკური აპარატი, რომელიც არსებობდა სახელმწიფოში და ჯარში, ჯერ კიდევ მუშაობს. რევოლიუციონერები შემდეგი ალტერნატივის წინაშე იდგნენ: ან ერთი ხელის დაკვრით მოსპობა ამ აპარატისა და ამით დემობილიზაცია სახელმწიფო ყოველივე ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელ ვყოთ, ანდა მხარი დაუჭიროთ ამ აპარატს—ესე იგი ძველი რეჟიმის საფუძვლებს, და ამით რევოლიუცია გარდამავალი მოვლენის ჩარჩოებით შევზღუდოთ. ამ ალტერნატივის გადაწყვეტას ხელი შეუწყვეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა, რომლებმაც თავიანთ კონტროლით შესაძლებელი გახადეს ძველი აპარატის დატოვება და ამავე დროს კონტრ რევოლიუციის თავიდან აცდენა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია გარდამავალი იყვეს და გაგრძელდეს მხოლოდ განსაზღვრულ დრომდე. საჭიროა, თანამედროვე სახელმწიფოს მექანიზმი შეიცვალოს, მოისპოს ბიუროკრატიის ძალა-უფლება და მისი ფუნქციები და დავაყენოთ იგი **დემოკრატიულათ ამორჩეულ ხალხის წარმომადგენლების კონტროლ ქვეშ** თემებში, პროვინციებში, ფედერატიულ სახელმწიფოებში და მთელ გერმანიაში. ამავე დროს უნდა მოვაწყოთ გერმანიის მთლიანი სახელმწიფო, უნდა მოვსპოთ პრუსიის ბატონობა, ერთი ფედერატიული სახელმწიფო გადავაქციოთ სამად და მოვსპოთ სხვა წვრილი სახელმწიფოებრივი ერთეულები, მოვსპოთ პრივილეგიური უფლებები ბავარიის, ვიურტენბურგის, ისევე, როგორც ყველა სუვერენული უფლებები სხვა ფედერატიულ სახელმწიფოებისა. შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ მაგალითს ფედერატიულ სახელმწიფოებისას, რომლებიც აღჭურვილი არიან ფართე დამოუკიდებელ უფლებებით. მაგრამ არასოდეს ბერნის კანტონი არ ჩათვლის თავის თავს სამართლიანად იყოლიოს ელჩი ციურიხის კანტონში, ანდა პარიზში. ამასვე არ ჩაიდენს ტეხასი და ნიუიორკი. შვეიცარიის სახელმწიფო რკინის გზები ითვლებიან სახელმწიფოს და არა კანტონების კუთვნილებათ, ამ ქამად ეს გერმანიისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; საჭიროა **შვეიცარიის და შეერთებულ შტატების მზგავსათ** ერთგვარი წყობილება ისევე, როგორც საჭიროა სახელმწიფოს ფართე დემოკრატიზაცია.

**აი ერთი მიზანთაგანი** რევოლიუციის გაღრმავების. **მეორე მიზანს სოციალური ხასიათი აქვს.** საჭიროა ფართო სოციალური რეფორმები, სახელმწიფოს მრეწველობაში მონაწილეობის მიღებით, ბინის საკითხის გადაწყვეტით, დამოკიდებულებით ფართო მასასთან—როგორც მწარმოებლებთან, აგრეთვე მომხმარებლებთან—იმდენათ გამოასწორებენ მდგომარეობას, რამდენათაც შესაძლებელია თანამედროვე მრეწველობაში. ამასთანავე უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალებები, რომ არსებული კაპიტალისტური წარმოების წესი ჩქარა შეცვლილ იქნეს სოციალისტურით და ამით ბოლო მოეღოს ექსპლოატაციას ადამიანის ადამიანისაგან ეს მეორე მიზანი—სოციალური მიზანი რევოლიუციის გაღრმავებისა უფრო არსებითი არის და ძნელიც, ვიდრე პირველი, თუ სახელმწიფო წააგავს მექანიზმს, საზოგადოება ორგანიზმის მზგავსია, ეს უკანასკნელი უფრო რთულია და არც იოლად ექვემდებარება რეფორმებს და არც ადვილათ იცვლის სახეს. ეს არის დამამტკიცებელი იმისა, რომ სოციალური ცვლილებანი უნდა მომზადდეს დიდი სიფრთხილით და ამ ცვლილებებს უნდა მოვანდომოთ დიდი ენერგია. ამგვარი გაგებით რევოლიუციის გაღრმავებისა ჩვენ უახლოვდებით უმრავლესობის სოციალისტებს. რასაკვირველია არიან უმრავლესობის სოციალისტებში ისეთნიც, რომელნიც ამ კითხვაში უფრო მეტს სიფრთხილეს იჩენენ, ვიდრე ჩვენთვის, დამოუკიდებლებისთვის საჭიროა და მისაღები. მაგრამ სასაცილო იქნებოდა რომ **განსხვავება რევოლიუციონურ ტემპში** მიგვაჩნდეს განსხვავებად რევოლიუციის კონტრ რევოლიუციისაგან სულ სხვა გვარათ ესმის სპარტაკს რევოლიუციის გაღრმავება. ის არ ითხოვს დემოკრატიის გამაგრებას, არამედ ძალდატანებით სურს დაამხოს თანამედროვე მთავრობა იმ დრომდე, ვიდრე სპარტაკი მოიმაგრებს ფეხს და თავის ხელში აიღებს სახელმწიფოს მექანიზმს. და რადგანაც დემოკრატია ზურგში უდგას თანამედროვე მთავრობას, სპარტაკი თხოულობს **დემოკრატიის გაუქმებასაც.** სპარტაკს სხვა გვარათ წარმოუდგენია სოციალური გაღრმავება რევოლიუციისა. მას არ სურს მოამზადოს მრეწველობის ყველა დარგი და თანდათანობით მოახდინოს მისი სოციალიზაცია მუშებისაგან დამოკიდებულ ძალაუფლების საშუალებით.

მას უნდა, რომ მუშებმა ანარქისტულ საშუალებით, მუდმივი უმიზეზო გაფიცვებით წამოაყენონ შეუსრულებელი მოთხოვნილებანი მრეწველობის ყველა დარგში და ამგვარათ შეუძლებელი გახადონ ყოველგვარი წარმოება. სურსათის კრიზისი, სპარტაკის აზრით, ხელს შეუწყობს რევოლიუციონურ ტემპს. როგორ უნდა დამყარდეს ამ მოჯადოებულ ქაოსიდან საზოგადოებრივი წესრიგი ეს სპარტაკელების კავშირის საიდუმლოებას შეადგენს. ერთი ცხადია, რომ სპარტაკის თანამგრძნობლებმა ვერ შეიგნეს ის გარემოება, რომ **გაფიცვას რევოლიუციის შემდეგ აქვს სულ სხვა გვარი გავლენა, ვიდრე მას ჰქონდა რევოლიუციამდე.**

ისინი ყოველ შემთხვევაში გრძნობენ, რომ მათი ბრძოლის მეთოდები, რომელთაც მოსდევს ეკონომიური მღელვარება, შეუძლებლათ ხდიან ტანსაცმლის, სანოვაგის, და ბინის საკითხის მოგვარებას ფართო მასისათვის იმ დროს, როდესაც დასავლეთ მხარეებში საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში მრეწველობა ძველი გზით მიდის. ამ გარემოებიდან გამომდინარეობს დიდი საშიშროება იმისა, რომ სოციალისტური გერმანიის მუშები გამოიკვებებიან და შეიმოსებიან უფრო ცუდათ, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნების მუშები. და ეს სახიფათოა საერთაშორისო რევოლიუციისათვის, რომლის დაპყრობითი ძალა შესუსტდება, თუ გერმანიის სოციალიზმის რეჟიმი მოუტანს მუშებს გაჭირვებას და უბედურებას.

სპარტაკელები სცდილობენ ამ საფრთხის თავიდან აცილებას მხოლოდ მით, რომ ისინი მოითხოვენ **მსოფლიო რევოლიუციას.** ისინი არ უცდიან, რომ ამ რევოლიუციამ თავის თავად იფეთქოს. გამარჯვებულ ქვეყანაში ხალხის მასა სულ სხვანაირათაა განწყობილი, ვინემ დამარცხებულში. და რადგანაც მსოფლიო რევოლიუცია თავის თავად არ მოდის, სპარტაკელებს უნდათ და სცდილობენ გამოიწვიონ ის ხელოვნურათ. და ეს თუ როგორ უნდა მოხდეს, ეს საიდუმლოებაა სპარტაკელებისათვის და თავის თავადაც.

ცხადია მხოლოდ ერთი: მისწრაფება მსოფლიო რევოლიუციისადმი არის მხოლოდ სურვილი გამარჯვებულ მთავრობათა შემუსვრისა. ეს სურვილი უიმედოა, მაგრამ საუბედუროთ არც ისეთი ცოდვაა. გამარჯვებული სახელმწიფოები ისევე დესპოტნი არიან, როგორც სპარტაკის თანამგრძნობნი და უკანასკნელთა გამარჯვება გერმანიაში მომასწავებელი იქნება მოკავშირეთადმი **ახალ ომის გამოცხადებისა.** ამ მიზნისთვის ლენინმა უკვე აღგვითქვა სამი მილიონი ხალხით დახმარება და დიდძალი სურსათ-სანოვაგე, მხოლოდ მან არ მოიხსენია, თუ რუსეთის რომელ ადგილასაა ეს ჯარი და სურსათი დამალული.

მაშასადამე, სპარტაკისებური რევოლიუციის გაღრმავება არ ნიშნავს დემოკრატიის გამაგრება გამარჯვებას, არც მრეწველობის ნორმალურათ და თანაბრად სოციალიზაციას, არამედ დემოკრატიის გაუქმებას, მრეწველობის საბოლოოთ და, როგორც ყველა ამაების დამატება—ახალ ომს. მაგრამ ყველა ეს, სპარტაკელთა აზრით, საჭიროა რევოლიუციისათვის, რადგანაც რევოლიუციის დროს ბუნებრივი კანონია, რომ ზომიერი რადიკალები თავის ადგილს უთმობენ რადიკალებს, უკანასკნელნი უკიდურეს რადიკალებს და მხოლოდ ამ უკანასკნელთ შეუძლიათ მიიყვანონ რევოლიუცია საბოლოო გამარჯვებამდე. სპარტაკის კავშირის გამარჯვება მოასწავებს რევოლიუციის უმაღლეს წერტილს, წინააღმდეგ რომლისა ყოველივე სხვა მისწრაფება კონტრ რევოლიუციონურია.

ვსტოვებთ რა განზე იმ ყალბ ხმებს უმრავლესობის სოციალისტთა შესახებ, ვითომდა ისინი აწყობდენ კონტრ რევოლიუციონურ შეთქმულებებს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარტაკელების შეხედულება რევოლიუციაზე არაა დაფუძნებული რომელიმე ახალ დროის არგუმენტებზე, არამედ სრულიად ემყარება წარსულს, რევოლიუციის ისტორიას, ისინი სრულიად უყურადღებოთ სტოვებენ განსხვავებას წარსულსა და აწმყოს შორის.

(შემდეგი იქნება)

*) ეს წერილები დაწერილია ამ წლის დასაწყისში. რედ.

ბოლოთ მიზნის მოახლოვებისაკენ. თავის ულრმეს აღშფოთებას გამოსთქვამს იმ მოღალატურ გამოსვლების შესახებ რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში ეგრეთ წოდებულ კომუნისტთა, დენიკინელთა და ყაჩაღთა შეერთებული ძალების მხრით. ეს გამოსვლა მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ, ემუქრება თვით რესპუბლიკის არსებობას და ანარქიის და სამოქალაქო ომის სისხლში გახვევას უქადის მუშათა კლასს. პოლიტიკურ გიჟთა, მოღალატეთა და ავაზაკთა მიზანია დანა ჩასცენ ზურგში ჩვენს დემოკრატიას. ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ მუშათა კლასის წიაღიდან გამოსული მთავრობა არივის არ აპატიებს ასეთ მუხანათობას, თუგინდა ეს მოღალატენი თვით მუშათა კლასის გარეწარ და უკანონო გუნდს ეკუთვნოდენ და დემოკრატიული მთავრობა პროლეტარული სიმტკიცითა და მედგრობით სასტიკი ზომებით აღმოფხვრის კონტრ-რევოლიუციას რაფერ სამოსელშიაც არ უნდა იყვეს ის გახვეული.

3) ეს დადგენილება დაუყონებლივ ეცნობოს მუშათა კლასის მცხოვან ბელადს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ჟორდანიას, რევოლიუციის შეიარაღებულ გუშაგს ჩვენს სახალხო გვარდიას. ეს დადგენილება დაუყონებლივ გაიგზავნოს რკინის გზის მთელ ხაზზე ჩვენს ამრჩეველთა საყურადღებოთ და სახელმძღვანელოთ."

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **საერობო არჩევნები ახალციხეში.** 26 ოქტომბერს დასრულდა საერობო არჩევნები. 5,000 ამრჩევლებში საარჩევნო ყუთებთან გამოცხადდა 2,746 კაცი. № 1 მიიღო 2,142 ხმა, № 2 (სომხ. სახ. პარტია) 604. გავიდა 5 ს.-დ., სომხის სახ. პარტ. 2. არჩევნები ცოცხლად ჩატარდა, მიუხედავად დაშნაკელთა აგიტაციისა ბოიკოტისათვის.

◆ **„კერენკები"**. მთავრობის დადგენილებით კერენკების მიღება სახელმწიფო, საზოგადო, საკრედიტო და სხვ. დაწესებულებებში შეჩერებულია.

◆ **ვ. ბარნოვის იუბილე.** დღეს საღამოს 7 საათზე მწერალთა კავშირის ბინაზე დანიშნულია ვ. ბარნოვის საიუბილეო კომისიის კრება.

◆ **სატარიფო პალატა** აცხადებს, რომ მის მიერ არ არის დაწესებული ნიხრი ტანსაცმლების შეკერვაზე.

**ქ რ ო ნ ი კ ა**

დღეს, საღამოს 4 საათზე, ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება საერთო კრება ავლაბრის რაიონის მკერავ-ქალთა არტელისა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, შესდგება ახალ. მარქს. ორგ. ცეკას სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

# ხოლერის წინააღმდეგ

მოქალაქენო! ხოლერა არ ნელდება. აგვისტოდან დღემდე ავად გახდა ხოლერით 90 კაცი. თუმცა შარშანდელთან შედარებით ეს რიცხვი მეტად მცირეა, მაგრამ არა ნაკლებ საშიშოა. თუ აგვისტო-სექტემბერში ავად ხდებოდენ მოსულნი და ლტოლვილები, ახლა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის იჩინა ხოლერამ თავი. ხდებიან ავათ მუშები, მოხელენი, სტუდენტები. ეს მეტად ჩასაფიქრებელია, მით უფრო, რომ დღევანდელ პირობებში ხოლერასთან ბრძოლა მეტად საძნელოა. სანიტარული პირობების დაცვის საქმეში საერთოდ და კერძოდ კი ეპიდემიასთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა შეგნებულ მოქმედებას, ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როდესაც ქალაქის თვით მართველობას არა აქვს საშუალება უნაკლულოთ აწარმოვოს ეპიდემიასთან ბრძოლა.

მოქალაქენო, დაიცავით სისუფთავე თქვენ ბინაზე. ნუ სვამთ უმ წყალს. დაიცავით ყოველივე სანოვაგე ბუზებიდან, რადგან მათ გადააქვთ ხოლერა ერთი ადგილიდან მეორეზე; ერიდეთ ხილს.

ნუ დაივიწყებთ, რომ ერთად ერთი უებარი საშუალება, რომლითაც შეიძლება ხოლერას თავი დააღწიოთ, ეს არის ხოლერიდან აცრა. როგორც ყვავილის აცრა გვიხსნის ყვავილიდან, ისე ხოლერის აცრაც უზრუნველ გვყოფს ხოლერიდან. აცრას არავითარი ვნება არ მოაქვს. ამ მოკლე ხანში აიცრა 2000-მდე კაცი, მაგრამ არც ერთ მათგანს არავითარი გართულება თან არ დაჰყოლია.

მოგიწოდებთ ყველას აიცრათ თავი ხოლერიდან. აცრა სწარმოებს ყოველ დღე უფასოდ: 1) ცენტრალურ ამბულატორიაში, პუშკინის ქუჩა; 2) ავლაბრის ამბულატორიაში—კახეთის მოედანი; 3) კუკიის ამბულატორიაში — ანდრეევის ქუჩა № 1.

სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი

მეუნარგია.

# სომხეთში

**პარლამენტში.**

სომხეთის პარლამენტში ს. რ. ფრაქციამ ზანგეზურის მაზრის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია წარადგინა: გვაქვს რა მხედველობაში, რომ ზანგეზურს მოელის სასიკვდილო საფრთხე ოსმალეთის აგენტის სულთანოვისაგან, რომ სულთანოვის ბანდები ემზადებიან სისხლი დაანთხიონ მაზრაში და ვთვლით რა აუცილებელ საჭიროებად განთავისუფლდეს ზანგეზური ამ რესპუბლიკათა შორის მოსალოდნელ საფრთხისაგან და რომ კონფერენცია ძალა უფლებისა ორივე ხალხის ბეგებ და ბურჟუაზიის ხელში აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდებს ზანგეზურის მშრომელ ხალხს, პარლამენტს არ სწამს, რომ ორივე სახელმწიფოს მთავრობას შეეძლოს აცილება სისხლის ღვრისა და სთვლის, რომ მხოლოდ მუშები და გლეხები ადერბეიჯანის და სომხეთისა შესძლებენ მოსპონ თანამედროვე მწვავე მდგომარეობა, ამიტომ ს.-რ. ფრაქცია მიმართავს ადერბეიჯანის და სომხეთის დემოკრატიას ზურგი აქციონ სისხლის ღვრას და დაადგნენ ურთიერთ შეთანხმების გზას".

**სომხის ვაჭრები და სომხეთის მთავრობა.**

ერევნის გაზეთი „არაჩი" სწერს, რომ ჰარბორდის თფილისში ყოფნის დროს სომხის ვაჭრებს თათბირები ჰქონდათ, სადაც გამოიმუშავეს და ჰარბორდს გადასცეს თავის შეხედულებანი სომხეთში მრეწველობის და ვაჭრობის განვითარების შესახებ. ამ კრებაზე ვაჭრებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სომხეთის ახლანდელი მთავრობა, რომელიც მათი აზრით „მასწავლებლებისაგან" შესდგება. ვაჭრებმა მიხაილოვებისა და სეილანოვების პირით განაცხადეს, რომ ისინი სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ და ყველაფრით შეეცდებიან მის ჩამოგდებას („ისკრა").

# ადერბეიჯანში

**საფრანგეთის სამხედრო მისიის ჩასვლა ბაქოში.**

25 ოქტ. ბაქოში ჩავიდა ამიერ კავკასიაში საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი მაიორი ნ. ონანკური, რომელმაც ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი. საუბარში მისიის უფროსმა გაკვირვება გამოსთქვა იმ წესრიგით, რომელიც არსებობს ადერბეიჯანში, რის გამო ის თავს თავს მოვალედ რაცხს აცნობოს ამის შესახებ თავის მთავრობას პარიზში.

**სომხური მისიაში.**

ადერბეიჯანში მყოფმა სომხეთის მთავრობის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბეგზადიანმა შუამდგომლობა აღძრა თავის მთავრობის წინაშე, რომ ის მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან გაანთავისუფლონ მის თანამდებობიდან. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხატისოვმა 23 ოქტომბერს მთავრობის სახელით შეუთვალა, რომ ის ორი თვით კიდევ დარჩეს მიმდინარე მომენტის საგანგებო პირობების გამო. ბეგზადიანი ამაზე დათანხმდა.

**ნავთის გატანა.**

ადერბეიჯანის მთავრობა ფიქრობს შეუთანხმდეს ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა ახალ სახელმწიფოებს ნავთის გატანის შესახებ ბაქოდან.

**პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ შ ი.**

24 ოქტომბერს, პარლამენტში ირჩეოდა კანონ-პროექტი პრესის შესახებ. კანონ-პროექტი სოციალისტურმა პარტიებმა გააკრიტიკეს. კანონ-პროექტი, წინააღმდეგ სოციალისტების, ეხრარისტების და იტტიხადისტებისა, მიღებულ იქნა.

# ლიუცერნის კონფერენციის გარშემო

**რუს სოციალისტთა პროტესტი.**

პარიზში ბურცევის გაზ. „ობშჩეე დელო"-ში გამოქვეყნებულია პროტესტი რუს სოციალისტებისა ლიუცერნის ინტერნაციონალურ სოციალისტური კონფერენციის წინააღმდეგ (რუსეთის საკითხის შესახებ). პროტესტში სწერია: „ჩვენ, რუსი სოციალისტები, ოფიციალური წარმომადგენლები რუსეთის აღორძინების კავშირისა, სადაც შედიან მემარჯვენე სოც.-რევოლიუციონერები, სოც.-დემოკრატები, პლეხანოვის ჯგუფი „ედინსტვო", სახალხო სოციალისტები და მემარცხენე კადეტები—ჩვენ თავს ვთვლით მოვალეთ გამოვსთქვათ პროტესტი იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც ბოლშევიკებს ემხრობა, რომელიც გამოტანილ იქნა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე ლიუცერნში." შემდეგ აღნიშნულია ბოლშევიკების დესპოტიზმი რუსეთში, რომელმაც რუსის ხალხს ძალად მოახვია თავისთავის ძალა უფლება. პროტესტანტებში მოითხოვენ, რომ მოკავშირენი იარაღით დაეხმარონ ანტი-ბოლშევიკურ ძალებს, რომ დაამხონ უზურპატორები. „სამოქალაქო ომის გახანგრძლივება დამოკიდებულია არა იმაზე, რომ მოკავშირენი ეხმარებიან რუსეთს ბოლშევიკებთან ბრძოლაში, არამედ იმაზე თუ ამ დახმარებაშ დაიგვიანამ."

# რუსეთში

**ახალი შეთქმულება ტროცკის წინააღმდეგ.**

ბერლინის რუსულ გაზეთ „გოლოს როსიის" გადმოცემით მოსკოვში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომლის მიზანიც ყოფილა ტროცკის მოკვლა. განზრახვა ჰქონიათ აეფეთქებინათ ტროცკი ავტომობილში. შეიპყრეს 80-დე კაცი, რომელთა შორისაც ბევრი ცნობილი სამხედრო კომისრები არიან, ცნობილი კომუნისტები. ტერორმა ფართო ხასიათი მიიღო. ტროცკი დაიარება მრავალ მცველებით. („ზნ. ტრ.").

**მახნოს აჯანყება.**

არის ცნობები, რომ მახნომ მოაწყო აჯანყება უკრაინის გლეხობაში. მან უკვე დაიპყრო ქ. ალექსანდროვსი ეკატერინოსლავის გუბერნიაში. („ზ. ტრ.").

**გენერლების დაჭერისათვის.**

პეტროგრადში და მოსკოვში გააკრეს ლენინის ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ რადგანაც მთავარი ხელმძღვანელები შავრაზმელთა ბანდებისა არიან გენერალი როძიანკო, დენიკინი, კოლჩაკი იუდენიჩი და გრაფი პალენი—ვინც მათ ცოცხალს დაიჭერს ან მოჰკლავს, მიიღებს ჯილდოს რამოდენიმე მილიონსო.

(„რ. მ.").

**სოვდეპია დაინტერესებულია ამიერ კავკასიით.**

„პრავდის" და „ცენტრალურ იზვესტიას" უკანასკნელ ნომრებში ამ ბოლო დროს ბევრი წერილები იბეჭდება კავკასიის შესახებ. „პრავდის" მეთაურ წერილში ავტორი უსაყვედურებს სოვნარკომს, რომ მან თავის დროზე არ დააკმაყოფილა სამართლიანი მოთხოვნილებანი თათრების. „რომ გვქონოდა ზურგი გამაგრებული ამიერ-კავკასიაში, რომ შეგვძლებოდა მტკიცე ბაზის შექმნა ბაქოში და თფილისში, ჩვენ არ დავკარგავდით ჩრდილოეთ კავკასიას და წითელი დროშა კვლავ იფრიალებდა პიატიგორსკში და კავკავში" წერილის დასასრულს ავტორი ურჩევს კომუნისტებს ხელი გაუწოდონ კავკასიის მთავრობებს, რომელთანაც აკავშირებთ მათ საერთო მძულვარება თეთრ გვარდიელებისამ". („პ.").

# უცხოეთი

**შეერთებული შტატები და ფიუმე.**

ტინკავმა, მასსაჩუსეტის დეპუტატმა, წარუდგინა ამერიკის პალატას რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერივნენ ფიუმეს საკითხშიო.

**საფრანგეთის სოციალისტების კონგრესი.**

საფრანგეთის სოციალისტების კონგრესზე გაირჩა კითხვა საპარლამენტო არჩევნების დროს პარტიის ტაქტიკის შესახებ. კონგრესზე იყო მომენტები, როდესაც მოსალოდნელი იყო განხეთქილება. კონგრესმა მაინც გამონახა შეთანხმების გზა. მიღებულ რეზოლიუციაში კონგრესი ადასტურებს 1905 წლის 13 იანვრის პარტიის ყრილობაზე მიღებულ დებულებას, სადაც ნათქვამია, რომ ბურჟუაზიულ მთავრობას არ უნდა დაუჭირონ მხარი სამხედრო კრედიტში იმ 11 დეპუტატს, რომლებმაც დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ, კიდევ მხარი დაუჭირეს კრედიტებს, კონგრესი ჰკიცხავს. კონგრესი ადასტურებს წინა კონგრესის გადაწყვეტილებას, სადაც ნათქვამია, რომ ის სოციალისტი დეპუტატი, რომელიც მხარს დაუჭერს კრედიტებს— პარტიის გარეშე დარჩება, კონგრესი აგრეთვე მოითხოვს, რომ სოციალისტ დეპუტატებმა წინააღმდეგ მისცენ ხმა ვერსალის საზავო ხელშეკრულებას. მარსელ კაშენმა თავის მგრძნობიარე სიტყვაში გამოსთქვა, რომ კონგრესმა შესძლო საერთო გზის გამონახვა და ამით ხელი შეუწყო პარტიის მთლიანობას.

**ვენგრიაში.**

ვენგრიის მთავრობის ახალ კაბინეტში სამი სოციალისტი შევიდა. გრამი —ვაჭრობის მინისტრი, რეიდელ—ჯანმრთელობის, რეიერი—უპორტფელოთ. ახალი საარჩევნო კანონით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ვენგრიის ქვეშევრდომნი, რომელთაც შეუსრულდათ 24 წელი. ქალებიც ისეთივე უფლებით აღჭურვილნი არიან, როგორც მამაკაცები, მაგრამ ქალებმა ვენგრიაში ხმარებული ერთიერთი ენა უნდა იცოდნენ.

# რკინის გზელთა მეორე ყრილობა

**მეორე დღე, 25 ოქტომბერი, დილის სხდომა.**

ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები რაიონებიდან. ყველა მომხსენებლები ხაზ გასმით აღნიშნავდნენ, რომ მუშა-მოსამსახურენი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ნივთიერათ, მათ არა აქვთ ბინები, სანიტარული საქმე არ არის მოწყობილი და სხვა. ყველაფერს ამას მოთმინებით ვიტანთ მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის მმართველი და გამგე ნ. ჟორდანიას მთავრობა არისო. ერთმა მომხსენებელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ნ. ჟორდანიას მთავრობა რომ არ იყვეს სათავეში, ჩვენ ერთ წუთსაც ვერ გავჩერდებოდით ასეთ მდგომარეობაშიო, მიუხედავათ ასეთი მძიმე მდგომარეობისა ორგანიზაციული მუშაობა ყველგან სწარმოებს, კავშირები ყველგან იწევიან კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას და სხვა.

**ბათუმის რაიონი.** მომხსენებელი ჟღენტი აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც ბათუმის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეებს უხდებოდათ მუშაობა. მაისის პირველ რიცხვებიდან შევუდექით ორგანიზაციულ მუშაობას, ამბობს მომხსენებელი, შესდგა დროებითი ბიურო, რომელსაც ევალებოდა მომავალი არჩევნებისათვის ნიადაგის მომზადება. ივლისის პირველ რიცხვებში მოხდა რაიონული გამგეობის არჩევნები. რაიონულმა გამგეობამ პირველად ყურადღება მიაქცია მუშა მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გახსნა ადგილობრივი სავაჭრო დუქანი, ზრუნავდა სასადილოს გახსნაზე, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოხერხდა. მუშები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. განსაკუთრებით მწვავეთ სდგას ბინის საკითხი. სადგურის შენობები ინგლისელებს უჭირავთ, ხოლო მუშა მოსამსახურენი ვაგონებში სცხოვრობენ. ბინის საკითხს ყურადღება მიაქცია რაიონულმა გამგეობამ, მაგრამ ვერაფერი ვერ გაკეთდა; ინგლისელები გვპირდებოდენ დღეს თუ ხვალ დავიცლითო, მაგრამ დღემდე არ დაუცლიათ.

არც სანიტარულის მხრივ არის სანუგეშო მდგომარეობა. თუმცა ექიმი გვყავს, მაგრამ არც ბინა საავათმყოფოსთვის და არც წამალი არ მოგვეპოვება. ამ მხრივაც საშინელ ცუდ პირობებში ვიმყოფებით. კულტურულ-განმანათლებელ საქმესაც აქცევდა გამგეობა ყურადღებას, მაგრამ მოწინავე ამხანაგების ნაკლებობის გამო ამ მხრივ ძლიერ ცოტა გაკეთდა. რაც შეეხება ადმინისტრაციას, ის ვერ აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნილებებს. ჩვენ ბათუმის პროფესიონალურ კავშირთან არავითარი დამოკიდებულება არ გვქონდა და ამის მიზეზი ის იყო, რომ ბათუმის პროფ. კავშირს უნდოდა თფილისისათვის გვერდი აევლო და ბაქოს პროფესიონალურ კავშირთან დაეჭირა კავშირი, ეს ჩვენთვის მისაღები არ იყო და ამიტომაც მათთან საქმე არ დავიკავეთ. საერთოდ ბათუმის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ძლიერ ცუდია და ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

**ფოთის რაიონი.** მომხსენებელი ცხადაია ამბობს: ფოთი ჭაობიანი ადგილია. აქ ძლიერ გავრცელებულია ავათ მყოფობა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მუშა-მოსამსახურეებს არავითარი დახმარება არ ჰქონია. ფოთში არამც თუ წამალი არ არის, არამედ ექიმიც არა გვყავს. ამას შემდეგში მაინც უნდა მიექცეს ყურადღება. რაიონში რამოდენიმე სექცია არსებობს. რაიონული გამგეობის და სექციების მუშაობაში კონფლიქტს ადგილი არ ქონია, მუშაობა შეთანხმებულათ სწარმოებდა. გამგეობა ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა შეემსუბუქებინა. კიდევაც ოდნავ მიაღწია მიზანს. სავსებით და საგრძნობლათ ვერ შესძლო მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. ბინის საკითხი აქაც ძალიან მწვავეთ სდგას. წინეთ კერძო ბინები იაფი იყო და მუშები იქ სცხოვრობდნენ, ამ ჟამათ კი, ბინების გაძვირების გამო, მუშები იძულებული შეიქნენ კერძო ბინებისათვის თავი დაენებებინათ და სახაზინო ბინები მოეთხოვათ. ჩვენ ისინი ყაზარმებში მოვათავსეთ, მაგრამ ძლიერ შევიწროებულათ არიან. ჩვენ ამ საკითხის შესახებ მივმართეთ შარშან დიქტატორ ფიცხელაურს, შემდეგ სხვებს, მაგრამ საქმე ვერ გამოკეთდა.

გამგეობამ მიაქცია ყურადღება სადგურის განათებას და დღეს ფოთში ელექტრონის განათება გვაქვს უკვე. დიდ ყურადღებას აქცევდა გამგეობა კულტურულ განმანათლებელ მუშაობას: დავამთავრეთ კლუბის საქმე და დღეს უკვე კარგათ მოწყობილი კლუბი გვაქვს. გვყ ვს საკუთარი ორკესტრიც. ჩვენს მუშაობაში არავითარ კინკლაობას ადგილი არ ქონია. ცენტრალური კავშირის დავალებით ჩვენი გამგეობა ორგანიზაციულ მუშაობას აწარმოებდა შავი ზღვის რკინის გზის მუშებშიაც.

**სამტრედიის რაიონის** მომხსენებელი კიკვაძე: რაიონული კავშირი შესდგება 10 სექციისაგან. ჩვეულებრივი კრება გამგეობისა, რომელიც 15 წევრისაგან შესდგებოდა, ხდებოდა თვეში ორჯერ. გამგეობას ყავდა სამი კომისია: კულტურულ განმანათლებელი, საგამომძიებლო და მეომართა დამხმარე. კულტურულ განმანათლებელი კომისიის მუშაობა გამოიხატა კლუბის გადაკეთებაში, რომელიც ამ მოკლე ხანში დამთავრდება), სამკითხველოს საკითხის მოწესრიგებაში და სწავლა განათლების საქმის კარგათ მოწყობაში. სამკითხველო ორი გვაქვს. სამკითხველოს მოთხოვნილება დიდია. ორი სამკითხველოს გახსნა გვაქვს განზრახული. არსებული სამკითხველო თავისი განყოფილებით ღებულობს ყველა ქართულ რუსულ გაზეთებს. ბინის საკითხი ჩვენშიაც მწვავეთ სდგას. 8 საათის სამუშაო დღე გატარებულია. მხოლოდ ისეთ დარგში, სადაც ეს არ შეიძლება, როგორიც არის კონდუქტორთა დარგი, მუშები ზედმეტსაც მუშაობენ, მაგრამ სამაგიეროდ შესაფერ ჯილდოსაც ღებულობენ თანახმად ბრძანებისა.

მუშა-მოსამსახურენი არ არიან უზრუნველყოფილი სათბობი მასალით.

სურსათის მხრივ დიდი ნაკლებობაა, ტანისამოსიც გვაკლია. საჭიროა ამ მხრივ დახმარება აღმოგვეჩინოს.

**ქუთაისის რაიონის** წარმომადგენელი პიპინაშვილი აღნიშნას, რომ რაიონული გამგეობის უმთავრესი ენერგია დაიხარჯა მუშა მოსამსახურეთა წრის მექრთამეეებისაგან განწმენდაში. შტატის შემცირება ხდებოდა, მაგრამ ის ქუთაისის რაიონს არ შეხებია. გამგეობამ მთელითავისი მუშაობის განმავლობაში დაითხოვა სულ 53 ბოროტმოქმედი მოსამსახურე. ზოგი მათგანი ჩაეწერა კომუნისტთა პარტიაში, ზოგი კი ნაციონალ-დემოკრატების პარტიაში და გაზეთ „საქართველო"-დან დაგვიწყეს ტალახის სროლა.

რაიონული კავშირი შესდგება 43 სექციისაგან, არსებითად მუშაობს მხოლოდ 3 სექცია. დანარჩენები ნაკლებათ ასრულებენ დანაკისრ მოვალეობას. კულტურულ-განმანათლებელი კომისია ღირსეულად მუშაობდა. ავაშენეთ კარგი თეატრი, შევადგინეთ მომღერალთა გუნდი, ბინების ნაკლებობა ცუდ მდგომარეობაში აყენებს მოსამსახურეებს.

მილიციაში ბოროტმოქმედებას ფართე ადგილი უჭირავს, ყველა ამის შესახებ ჩვენ მივმართეთ სადაც ჯერ იყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ცენტრალური სასურსათო განყოფილება ჯეროვანად ვერ ანაწილებდა სურსათ სანოვაგეს. მაგ. გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ მოსამსახურეებს მიეცემათ საცვლებიო. ჩვენ კი მოგვივიდა ცენტრიდან მხოლოდ 350 საცვალი, მოსამსახურეთა რიცხვი კი 800 აღემატებოდა. დიდი მეცადინეობა და მუშაობა დაგვჭირდა, რომ ეს გაგვენაწილებია. ქუთაისის რაიონისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ სასურსათო კომიტეტი სულ არ გვყოლოდა. საერთოდ მუშები ძალიან გაჭირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, საჭიროა ზომების მიღება მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

**შორაპნის რაიონი.** მომხსენებელი გ. კაპანაძე ამბობს: ჩვენი რაიონიც და ყოფილია სხვადასხვა სექციებად. ყველაზე უკეთესია მუშათა სექცია. სამწუხაროთ ზოგიერთი სექცია ეპოტინება სახელმწიფოებრივ ფუნქციებს. რაიონულ გამგეობაში შედის 1 სოც.-ფედ. და 1 სოც.-რევოლ. დანარჩენი სოც.-დემოკრატებია. მუშაობა შეთანხმებულათ სწარმოებს. კულტურულ-განმანათლებელმა კომისიამ მუშებისაგან შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც დროგამოშვებით აწყობდა წარმოდგენებს. გვაქვს სამკითხველოებიც. შესდგა აგრეთვე მუშა მოსამსახურეთაგან მომღერალთა გუნდი, რომელმაც რამოდენიმე კონცერტი გამართა.

სასურსათო საკითხი ჩვენშიც მწვავეთ სდგას. ჩვენი სასურსათო მაღაზიები ვერ სდგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ამ ჟამათ შორაპნის სასურსათო მაღაზია დაკეტილია, იქ მომხდარ ბოროტ-მოქმედების გამო. მოგვევლინა ამ ბოლო ხანებში ბევრი მოხელე-ინსტრუქტორ-რევიზორი, რომლებიც ვერ ასრულებენ ჯეროვნად დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენი ადმინისტრაცია უთაოა. ბევრმა მათგანმა არ იცის თუ სად თავდება მათი ფუნქციები და სად იწყება კავშირის ფუნქციები. სასწავლო კომიტეტმა სკოლებში მღვდლების დანიშვნას მოუხშირა მასწავლებელთა თანამდეობაზე, ეს არა სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ მუშების მდგომარეობა აქ აუტანელია.

**ხაშურის რაიონი.** მომხსენებელია მოსე ჭყონია. ჩვენს რაიონში სულ 2152 მუშა მოსამსახურეა, ეს რაიონი გაჭიმულია 124 ვერსის მანძილზე. ასეთი დიდი ტერიტორია დიდათ უშლის ხელს გამგეობის მუშაობას. სამკითხველო არსებობს გორში და ხაშურში. არსებობს წიგნთსაცავიც, მხოლოდ წიგნების დიდი ნაკლებობაა. რაიონული გამგეობის ხელმძღვანელობით გადაკეთდა ძველი რკ. გზელების კლუბი. არსებობს კულტურულ განმათლებელი კომისია, შესდგა სცენის მოყვარეთა წრე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, კულტურული მუშაობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, ლექციების კითხვა შესაფერი ძალების უყოლობისა გამო ვერ მოვახერხეთ. ცენტრალურმა გამგეობამ ამ სფეროში ვერავითარი დახმარება ვერ გაგვიწია

[illegible]

დარაჯებს შორის, რადგან მათ, თანახმათ № 17 ბრძანებისა, 12 საათი უხდებათ მუშაობა. ისინი მოითხოვენ, რომ ეს ბრძანება გადაშინჯულ იქნას.

უნდა აღინიშნოს აქ ისიც, რომ ცენტრალური გამგეობა რაიონს არავითარ იდეიურ ხელმძღვანელობას არ უწევდა. ის სრულიად მოწყვეტილი იყო მასზე. ძლიერ ცუდი მდგომარეობა შექმნა იმან, რომ კანტორის მოხელენი უკანასკნელ მომატების საკითხში გამოყოფილ იქნენ. ეს საკითხი აქ უნდა გაირჩეს. მის შესახებ შესაფერი დადგენილება უნდა მივიღოთ.

**ნავთლუღის რაიონის** წარმომადგენელი მწუხარებით აღნიშნავს, რომ რაიონში იგზავნებოდენ ის მოსამსახურენი, რომლებსაც რაიმე დანაშაული მიუძღოდათ. ამრიგათ ნავთლუღის რაიონი გადაიქცა „ციმბირათ“. მოგეხსენებათ თუ რა მდგომარეობა იქნება ასეთ რაიონში.

კავშირს ყავს სულ 1904 წევრი, რაიონი იყოფა 7 სექციად. წინანდელი გამგეობა სამწუხაროდ ინტრიგის მეტს არაფერს არ აკეთებდა.

**კულტურულ** მუშაობას აფერხებს მოწინავე მომზადებულ პირთა უყოლობა. გვაქვს სამკითხველო. სურსათის მხრივ ხომ ყველგან კრიზისია. ნავთლუღში კი გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვინემ სხვაგან.

ნავთლუღის იქით მთლად უმწეო მდგომარეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ სანაინის მუშა-მოსამსახურეები ჩინებულათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ, სამწუხაროთ, ყოველგვარი მათი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

**ნეიტრალური ზონიდან** დამატებით მოხსენებას აკეთებს ცირეკიძე, რომელიც ყრილობას საშინელ გულშემზარავ სურათს უხატავს მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობისა. უპურობა, უტანისამოსობა და სხვ. სულს უხუთავს მუშებს და თუ ზომები არ იქნა მიღებული, საქმე ცუდათ წავა.

ამით გათავდა მოხსენებები ადგილებიდან.

## გერმანელთა საავადმყოფო

თფილისში არსებობს გერმანელთა საავადმყოფო, რომელიც, გარდა გერმანელ ჯარისკაცთა დახმარებისა, დიდ სამსახურს უწევს თფილისის მცხოვრებთაც.

15 სექტემბრიდან საავადმყოფოში ყოფილა მოსარჩენათ 806 საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომლიდან 55 ავადმყოფს სრულიად უფასოდ არჩენდენ; ამასთანავე მათ ეძლეოდათ ულუფა და ყოველივე აუცილებელი საჭირო საგნები (დღიურათ 70 მანეთის დახარჯვით; საავადმყოფოს მათზე დაუხარჯავს 100,730 მანეთი). ამის გარდა, 50-სთვის ოპერაცია სრულიად უფასოდ გაუკეთებიათ, რაც მინიმალური შეფასებით შეადგენს 50,000 მანეთს; ამაში არ შედის აუარებელი წვრილმანი ოპერაცია და საექიმო დახმარება. ამბულატორიაში ყოველ დღე მიდის 70-მდე ავადმყოფი, რომლის ერთ მეოთხედს უფასოთ ეძლევა საჭირო წამლები, რაც ეხლანდელ დროში 75 მანეთის კვალობაზე—100,000 მანეთს შეადგენს. 75 პროც. ავადმყოფებისა გადამდებ სენით ყოფილან ავად, მათ შორის 70 პროცენტი სახადიანები, რაც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებდა.

დღემდის საავადმყოფოს უვლიდენ გერმანელი ჯარისკაცები, რომლების უმეტესობა ამ დღეებში სამშობლოში ბრუნდება. ეს გარემოება საფრთხეში აგდებს საავადმყოფოს. ხელმძღვანელებს მაინც დაუდგენიათ დარჩენ აქ, გააფართოვონ საავადმყოფო და ასე ხელი შეუწყონ საექიმო საქმეს ჩვენში. ამ მიზნით ისინი სთხოვენ მთავრობას და ქალაქის თვითმართველობას შესაფერ შენობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ერთიც და მეორეც დიდის სიამოვნებით გაუწევენ მათ ყოველგვარ დახმარებას და შესაფერ შენობასაც მისცემენ. ეს იქნება ერთი საუკეთესო სანიმუშო საავადმყოფო, სადაც, გარდა წამლობა-ექიმობისა, დიდ გამოცდილებას და ცოდნას მიიღებენ ყველა ისინი, ვისაც ამ დარგში სურთ მუშაობა.

ამიტომ, ვიმეორებთ, როგორც მთავრობამ, ისე ქალაქმა, ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ ამ საავადმყოფოს ხელმძღვანელთ არამც თუ შენობით, თუ საჭირო იქნება, ფულითაც უნდა დაეხმარონ. X.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 22 ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. სამართველოს ქვეკოლექტივის ჩვეულებრივი კრება. კრებას დაესწრენ თითქმის ყველა წევრები. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) საავადმყოფოს იაჩეიკის განცხადება 2) მოხსენება საორგანიზაციო კომისიისა. 3) პარტიის წევრების რეგისტრაციის შესახებ. პირველ კითხვაზე კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: დაევალოს სამმართველოს რაიონის პრეზიდიუმს მოელაპარაკოს საავადმყოფოს ადმინისტრაციას, რათა განთავისუფლებულ იქნას ამხ. წილოსანი სამსახურის მოვალეობისაგან ყრილობის პირველ დღეებში ამ ყრილობაზე დასასწრებლად. ამასთან დაევალოს ჩვენ მიერ არჩეულ დელეგატებს შევიდნენ ყრილობის ს. დ. ფრაქციაში განცხადებით, რათა ამხ. წილოსანი დაშვებულ იქნას ყრილობაზე სრულ უფლებიან წევრად საავადმყოფოს დარგიდგან განცხადების შესატანად და ამ ნიადაგზე მოხსენების გასაკეთებლად და დასაცავად. მეორე კითხვაზე ქვეკოლექტივმა მოისმინა მოხსენება საორგანიზაციო კომისიის ერთი წევრისა და სცნო ის სრულიად დამაკმაყოფილებლად. საერთოდ პარტიის წევრთა რეგისტრაციის შესახებ დაევალა ამხანაგებს ამ საგანზე იქონიონ მოლაპარაკება პირადად მდივანთან საერთო წესების მიხედვით. **მდივანი.**

—

**თფილისი.** 23 ოქტომბერს, ბიუროს ბინაზე შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა, ამხ. ვ. ინწკირველის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრო 9 წევრი. პირველყოვლისა კოლექტივი ისმენს წინა სხდომის ოქმს, რაც უცვლელად დამტკიცებულ იქნა. რეგლამენტის იმ მუხლის შესახებ, რომელიც შეეხება კოლექტივის მორიგ სხდომებს, კრება სურვილს გამოსთქვამს შეცვლილ იქნას შემდეგნაირად: კოლექტივის მორიგი სხდომები ინიშნება საღამოს ხუთ საათზე, ნაცვლად ექვსისა. თფილისის კომიტეტიდან მოხსენება მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან, რადგან ჩვენი წარმომადგენელი არ დასწრებია კომიტეტის სხდომას. მუშათა პოლიტიკურ კლუბის და კოლექტივის ბინის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ირემაშვილი, მან განმარტა, რომ კოლექტივის წინა სხდომაზე ამ კითხვის შესახებ მოცემულ იქნა ყალბი ინფორმაცია, საქმის ვითარება სულ სხვაგვარი ყოფილა. მომხსენებელი წინადადებას იძლევა, რომ ხელმეორედ იქნას კოლექტივის მიერ საკითხი აღძრული. კოლექტივი ავალებს ამხ. ი. ირემაშვილს და ამხ. ვ. ალიხანოვს შეეცადონ ამ საქმის მოგვარებას.

ფინანსიურ კომისიის მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ალიხანოვი, კოლექტივის საქმეების მწარმოებელზე გადაცემის შესახებ, და აგრეთვე კოლექტივის სასარგებლოთ ადგილობრივ მუშათა კლუბში წარმოდგენის გამართვის შესახებ, რაც მოხდება 3 ნოემბერს. კოლექტივი მართავს მოხსენების შემდეგ კამათს და გამოაქვს შემდეგი დადგენილება: 1) კოლექტივის ძველ მდივანს ან. გოჩიტაშვილს მიეცეს ჯამაგირად პირველ აგვისტოდან 15 სექტემბრამდე 400 მ. თვეში; 2) ევალებათ კოლექტივის წევრებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კოლექტივის სასარგებლოთ წარმოდგენის გამართვაში. საორგანიზაციო კომისიის მოხსენებას აკეთებს ვ. ათაბეგოვი. მან აღნიშნა, რომ 24 ოქტომბერს, დაბალეში დანიშნულია საზოგადო კრება, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე მომხსენებელი მიმდინარე მომენტზე. კოლექტივი ღებულობს მოხსენებას მხედველობაში და ავალებს მდივანს მიმართოს თფილისის კომიტეტს მომხსენებლის დასანიშნავად. მე-4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. ქვლივიძე. ის აღნიშნავს, რომ მცირე კოლექტივის ახალი შემადგენლობა უკვე შეუდგა მუშაობას: მათ აირჩიეს პრეზიდიუმი და განმარტეს რამოდენიმე საგულისხმო კითხვები: კოლექტივი ღებულობს მოხსენებას მხედველობაში.

**მდივანი მ. ნაკაიძე.**

## მუშათა შორის

**თფილისი.** 24 ოქტომბერს შესდგა საქონლის მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის სხდომა. გამგეობამ დაადგინა გადადებულ იქმნას გარდაცვალებულ ლ. მგელაძის ობოლ შვილებისათვის ორი ათასი მანეთი (2000 მ.), რომელიც მიეცეს შვილებს ყოველ კვირეულად ორას ორასი მანეთი. კრებამ იქონია რა მსჯელობა თითეულ კითხვაზე, დაადგინა: 1) გამგეობის მორიგი სხდომების დღეთ დანიშნულ იქნას პარასკევი, საღ. 4 საათი. და ის წევრი გამგეობისა, რომელიც არ დაესწრება სხდომებს სამჯერ და საპატიო მიზეზებს კი არ წარმოადგენს, გამორიცხულად ჩაითვალოს გამგეობიდან და მის ადგილზე მოწვეულ იქნას კანდიდატი. 2) მოწვეულ იქნას შემდეგ პარასკევისთვის, 31 ოქტ. ყველა ბირჟების მომწესრიგებელთა კრება სამუშაო გეგმის გამოსამუშავებლად და სამუშაო დირექტივების მისაცემად. 3) შეძენილ იქნას ტრამვაიზე ორი აბონიმენტი, ერთი ჩაბარდეს გამგეობის თავმჯდომარეს, მეორე ხაზინადარს და აბონიმენტები იხმარებოდეს მხოლოდ კავშირის საქმების გამო მოსიარულე პირთათვის. 4) დაევალოს პრეზიდიუმს, დააჩქაროს ტელეფონის გაკეთება კავშირის ბიუროში, ვინაიდან ასეთი აუცილებელ საჭიროება წარმოადგენს გამგეობის ნაყოფიერ მუშაობისათვის. 5) გამოწერილ იქნას კავშირის სახელზე მთავრობის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და ს. ს. დ. მ. ორგანიზაციების ორგანო გაზ. „ერთობა“. 6) ნავთლუღში მომხდარ ქურდობის შესახებ გამოწვეულ იქნას ბიუროში ნავთლუღის ბირჟის მომწესრიგებელი და რამოდენიმე მართალი პირები, რომლებთან ერთად პრეზიდიუმს დაევალოს საკითხის არსებითად გამორკვევა. 7) ნება მიეცეს საქმის მწარმოებელს კავშირისას შეიძინოს ბიუროსთვის ყველა საჭირო წიგნები და სათანადო ანგარიში წარუდგინოს ხაზინადარს.

**დიომიდე ქუჩულორია.**

## პროვინცია

**ს. რუისი (ქართლი).** 19 ოქტომბერს შესდგა რუისის ქალთა საზოგადოების საზოგადო კრება ბ ნ ქადაგაშვილის თავმჯდომარეობით და ი. ფანიაშვილის მდივნობით. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ს. ფანიაშვილისამ გააკეთა მოხსენება და აღნიშნა ზოგიერთი ნაკლი საფეიქრო სკოლის გამგის ეკ. ლაკაშინის მიერ წარმოებელ 1918 წლ. ანგარიშებში, მსჯელობის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა კრებამ სარევიზიო კომისიის მოხსენება, კრება იღებს ოქმს და ავალებს მომავალ გამგეობას იქონიოს მხედველობაში სარევიზიო კომისიის ოქმში აღნიშნული ნაკლი, რათა აღარ იყვეს დაშვებული და მოგროვილ იქნეს დაუბრუნებელი შესაწირავი სიები“. კრებამ მოისმინა განცხადება გამგეობის მდივნისა ელ. დეკანოზიშვილისა და რადგანაც მოხსენებაში ბრალდება იყო წამოყენებული ეკ. ლაკაშინის წინააღმდეგ, ამისათვის არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა სამი კვირის განმავლობაში საქმის გამორკვევა. კომისიაში ამორჩეულ იქნენ ფერშალი კოველაშვილი, ალ. ალავიძე და ეკ. მამაცაშვილი. გამგეობის თავმჯდომარემ ალ. გვარამაძისამ მოახსენა კრებას ნახევარი წლის ანგარიში 1919 წლ. მარტის თვიდან. ანგარიში 1918 წ. მარიამობისთვიდან 1919 წ. მარტამდის კი არ იქნა წარმოდგენილი თავმჯდ. ამხ. გ. მიქელაძის გარდაცვალების გამო, რომლის ხსოვნასაც კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით. გამგეობას მოუწყვია საფეიქრო სკოლის სასწავლებლის მოსწავლეებისთვის ექსკურსია თფილისში, სადაც მოსწავლეთ დაუთვალიერებიათ რამდენიმე დღის განმავლობაში ბევრი მათთვის გამოსადეგი საყურადღებო ალაგები. გამგეობას უთხოვნია სოფლის საადგილ მამულო კომისიისათვის ალაგის მიზომვა შუაგულ სოფელში, რომელზედაც გამგეობას სურვილი აქვს აავოს სკოლისათვის საჭირო შენობა. საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად გამგეობამ საფერისცვალოდ და სომხების მარიამობას მოაწყო ლატარია, საიდანაც წმინდა შემოსავალი დარჩენიათ სამას თუმანზე მეტი, რუისის ახალგაზრდობას წარმოდგენის შემოსავლიდან გადაუციათ ას თუმანზე მეტი და სხვა და სხვა პირებს შეუწირავთ ორმოც თუმნამდის, სულ შემოსვლია ხუთას თუმნამდის. კოოპერატივთა კავშირს შეუწირნია 3000 მან. სასწავლებელს შემოსავალი ჰქონია 1300 მან., წარმოდგენიდან 342 მან., საწევრო გადასახადი 96 მან., სიებით შეგროვებიათ თფილისში 1014 მან სულ შემოსავალი, ყოფილა 11946 მან. 49 კ., გასავალი: სკოლის შენახვაზე 5072 მანეთი და 70 კაპეიკი. წმინდა შემოსავალი დარჩენილა 6773 მან 99 კაპ. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება-ანგარიში, გამოეცხადოს მადლობა შემომწირველთ და ყველა იმ დამხმარეთ, რომელთა შემწეობითაც სასწავლებლის ქონება დიდათ გაზრდილა. საზოგადო კრება მადლობას უცხადებს კერძოთ გამგეობის თავმჯდომარეს ალ. ერ. გვარამაძისას მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის სასწავლებლის საქმის ასაღორძინებლათ, ანგარიშები კი დამტკიცებული იქნეს სარევიზიო კომისიის განხილვის შემდეგ“.

გამგეობის თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ სასწავლებლის ძველი შენობის გადასაკეთებლად უთხოვნიათ თხუთმეტი ათასი მან., რის შემდეგ კრებამ დაადგინა რომ გამგეობამ მოსთხოვოს ერობას შენობის შეკეთება. ამნაზღაურებელ კომისიის წევრმა ს. ფანიაშვილისამ კრებას მოახსენა, რომ ქარელის მომრიგებელ მოსამართლემ უარი სთქვა ეკ. ლაკაშინის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრის გარჩევაზე დაკარგულ შალეულობის ღირებულების ანაზღაურების შეხახებ, რადგანაც საჭირო იყო ამ საქმის სამოქალაქო წესით საჩივრის დაწყება, კომისიამ კი გამოუცდელობის გამო დაუწყო სისხლის სამართლით. კრებამ დაავალა გამგეობას, მიანდოს ვისმე ამ საქმის სასამართლოში წარმოება, რათა დაკარგული ნივთები უთუოდ ანაზღაურებულ იქნეს. გამგეობის თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, მასწავლებლის და გამგის ჯამაგირების მომატების დადასტურება და აგრეთვე ნება მიეცეს გამგეობას გახსნას განყოფილება სასწავლებლისა წინა უბანში. რადგანაც იმ უბნის მსურველნი ვერ იძნენენ ცოდნას სიშორისა გამო, კრებამ ამის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კრებამ იქონია რა მსჯელობა, ადასტურებს გამგის და მასწავლებლის ჯამაგირების გადიდებას 300 მანეთამდის და შემდეგისათვის გამგეობას სრული უფლება ეძლევა, როგორც ჯამაგირების მომატება, ისე განყოფილების გახსნა სხვადასხვა უბნეში, როდესაც გამგეობა დაინახავს საჭიროდ და შესაძლებლად“. შკოლის გამგის ქ ნ ბერძენიშვილის მოხსენებით გამოირკვა, რომ მთელი ზაფხული საფეიქრო სასწავლებელში მუშაობა არ შეწყვეტილა და იქსოვებოდა შეკვეთილი საქსოვები. ეხლა მოსწავლეთა რიცხვი ყოფილა ორმოცამდის. კრებამ იქონია რა მსჯელობა გამგეობის წევრების და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების შესახებ, დაადგინა: გამგეობის არჩევნები გადაიდოს, სანამ ახლათ ამორჩეული სარევიზიო კომისია რევიზიას არ გაუწევს გამგეობის ანგარიშებს.

სარევიზიო კომისიაში ამორჩეულ იქნენ: ს. ფანიაშვილისა, ალ. ალავიძე და ეკ. მამაცაშვილისა.

**მდივანი:**

—

**გურია.** თემების მასწავლებელთა კავშირის გამგეობების მიმართ: თანახმად ცენტრალური მასწავლებელთა კავშირის გამგეობის დადგენილებისა 4 ოქტომბრის, ა) წ. ოქმი № 9 გაცნობებთ, რომ დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ არის არჩეული თვითეულ თემის მასწავლებელთა კავშირში გამგეობის თავმჯდომარეთ და სია იმ მასწავლებელთა, რომლებიც შედიან ამა თუ იმ თემის მასწავლებელთა კავშირში, თუ ზემო მოხსენებული ცნობები არ იქნა წარმოდგენილი ერთი კვირის ვადაში, ცენტრის გამგეობას შეუძლებლად მიაჩნია მოიყვანოს სისრულეში თვისი განზრახვანი. ყველა ის ცნობები, რომლებიც მოთხოვნილია წარმოსადგენათ, საჭიროა იმისთვის, რომ თავის დროზე მიიღონ ჯამაგირები მასწავლებლებმა და საშუალება მოგვეცეს ვიქონიოთ სრული სტატისტიკური ცნობები მასწავლებელთა შესახებ და საჭიროების დროს აღვძრათ შუამდგომლობანი მათი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. საჭიროა იცოდეს ცენტრის გამგეობამ თქვენი ნამდვილი მისამართი, რომ არც ერთი გამგეობის მიერ გამოგზავნილი ქაღალდი არ დაიკარგოს და მიაღწიოს დანიშნულებას.

აგრეთვე გაუწყებთ, რომ თემის მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ უნდა მიიღოს თავის თავზე ჯამაგირების დარიგება და გაუწიოს შესაფერი ხელმძღვანელობა ამ საქმეში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გურიის მასწავლებელთა კავშირის გამგეობა მოთავსებულია ოზურგეთის პირველ საქალაქო დაწყებით სასწავლებლის შენობაში. კანცელარია ღია იქნება კვირაუქმეების გარდა 4—7 საათამდე, ხოლო კვირა უქმე დღეებში 11—2 საათამდე. საჭიროა, თანახმად მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის დადგენილებისა, დაუყოვნებლივ შეუდგეთ საწევრო გადასახადის, ჯამაგირიდან 1 პროც., მოკრებას 1 სექტემბრიდან. 25 პროცენტი კი საერთო დაგროვილ თანხიდან წარმოადგინოთ ცენტრის სალაროში. გამგეობის დაბეჯითებითი თხოვნაა, ყოველგვარ მომართვას მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება და სასწრაფოთ უპასუხოთ შეკითხვებზე, რომ ამით გააჩაღოთ ურთიერთ შორის ორგანიზაციული მუშაობა და წარვმართოთ სახალხო მასწავლებელთა საქმე. ძლიერ დაგვიანდა ნამსახურობითი სიის წარმოდგენა მასწავლებელთა მიერ. ამისთვის გთხოვთ ამ მოვლენას მიაქციოთ ყურადღება და სასწრაფოთ წარმოადგინოთ მათი სია. ხუთ წლეულის მიღება დაკავშირებულია ნამსახურებითი სიის დაშურებით წარმოდგენაზე

ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პარ. თოთიბაძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზ. „ერთობის“ უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს: გაზ. „ერთობის“ № 222-ში მოთავსებულია წერილი ხონიდან, სათაურით „ნაც.-დემ. მუშაობა“, რომელიც ვინმე „ძველი“, სხვათა შორის, უმართებულოთ მახსენებს მეც. ვინც პირადათ მიცნობს, მათ წინაშე, ვფიქრობ, თავის მართლება არ დამჭირდება, მაგრამ მკითხველ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მე დაახლოებით ან სულ არ მიცნობს და ბ. „ძველს“, რომელიც აგრეთვე, ეტყობა, კარგათ არ მიცნობს, გავაკადნიერდები და მოვახსენებ შემდეგს ხონიდან წარდგენილ საერთო საჩივარზე: სხვა მრავალთა შორის მეც მაქვს ხელი მოწერილი, მაგრამ ამით სრულიად ლეგალურად მე მინდოდა მთავრობის ყურადღება მიმექცია ქ. ხონის მდგომარეობაზე, რათა როგორმე მას (მთავრობას) გამოენახა საშუალება მძიმე ხარჯების შესამცირებლათ ქალაქის მართვა გამგეობის საქმის გამარტივებით, თორემ კოოპერატივის ან ქალაქის საწინააღმდეგო მუშაობაში პირადათ მე არავითარი არც ფარული და არც აშკარა მონაწილეობა არ მიმიღია, ვინაიდან კარგათ მესმის, თუ რა მნიშვნელობაც აქვს დღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის ქალაქების სიმრავლეს. როგორც გაზეთებიდან გავიგეთ, მთავრობასაც მიუქცევია ამ გარემოებისათვის ყურადღება და თურმე კიდეც მუშავდება კანონ-პროექტი პატარა ქალაქების, როგორიცაა ხონი, სამტრედია და სხვა, მართვა-გამგეობის გასამარტივებლათ, რაც საჭირო და სასიამოვნოცაა.

ცნობილია, რომ ყოველი კაცი თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს, რაც სათაკილო არ უნდა იყოს და ვფიქრობ, თუ ბ. „ძველი“ იმავე დროს სხვებზედაც ბევრს ზრუნავს, ალბათ ის ჩემზე უფრო ახალგაზრდაა. მე კი, იყო დრო, სხვებზეც ვზრუნავდი და ეხლა მოხუცებულობისას როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ კეთილდღეობისათვის და პროგრესიულ საქმისათვის ყოველთვის მზათ ვარ, შეძლების დაგვარათ, ყოველგვარი წვლილი გავიღო. რომ მე არ ვეკუთვნი რეტროგრადს - რეაქციონერთა წრეს, ამას დაამტკიცებენ ჩემი ძველი (1905 წ.) ნაცნობები, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს და დღეს თვალსაჩინო როლსაც თამაშობენ ჩვენს რესპუბლიკაში.

მე ხშირად მქონია საქმე მუშა ხალხთან, მაგრამ ჩემზე ვინმე უკმაყოფილო არასოდეს დარჩენილა, პირიქით ყველას კარგი, მეგობრული დამოკიდებულობა აქვს ჩემთან. ვფიქრობ, ავკაცთან და „მარტო თავის მუცლის კეთილდღეობაზე მზრუნველთან“ ასეთი დამოკიდებულობა არ შეიძლება იყოს და სხვა ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია და აქ არც საჭიროა.

დასასრულ ვსთხოვ ბ. „ძველს“ ან გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში და მე დავამტკიცებ ჩემს ვინაობას, ან ინებოს, შეამოწმოს ჩემს წერილში ჩამოთვლილი ფაქტების სინამდვილე და შესაფერი განმარტება მისცეს იმავე გაზეთ „ერთობაში“ მისი კორესპონდენციის იმ ადგილს, რომელიც პირადათ მე შემეხება. თუ საჭირო იქნება, მედიატორეს შემდეგ დავასახელებ.

პატივისცემით პოლკოვნიკი **ბიქტორ ათ. ქუთათელაძე.**

## განცხადებანი


## რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით.
მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია.
(2752—10—3)

ოზურგეთში
ექიმი **ს. ვ. აბაშიძე**
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წლების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914“ და „606“ შეშხაპუნებით.

ექიმი **ივ. ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95 (თ. 2744)

კბილის ექიმი
**ს. მ. ზიბაშვილ-მხაკიანი**
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

მედიცინის დოქტორი
**ა. ა. მოსხი.**
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი **ა. ლევენსონი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდები [illegible] დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი **როსტომ ბაქრაძე.**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერენაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

ექიმი **ნ. ლ. ტურაშვილი**
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და საშვილოსნო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ა. ჩიქობავა**
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიაზე და წამლობა X სხივებით, ღიდი საცდელი და არსებული, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 18—65.

ექიმი **ი. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ბესარიონ პაპავა**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27

ექიმი **დ. მ. ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი **ი. ი. ზამბახიძე.**
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი **ნ. ა. ზუბრაძე**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ა. სარალიძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **მ. ზილბერშტეინი.**
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი **ქ. ბ. ზუბალ-სახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. ი. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ა. დ. ქიქოძე**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—29.